გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

№98 (854) 25 - 26 სექტემბერი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

მხოლოდ 40 თეთრი

სქემა, რომლითაც ქართველმა თაღლითებმა ამერიკელი ცოლ-ქმარი „გადააგდეს“



ქ. თბილისი

მე, დიმიტრი კოსტაროვი (პირადი № 01008020145) ვაცხადებ, რომ 2010 წლის 8 ოქტომბერს გაფორმებული სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ბენჯამინ ჩარლზ რიტერის და ნინა ჭანტურია რიტერის შეუსრულებლობის შემთხვევაში იპოთეკით დატვირთული ჩემი კუთვნილი ქონება მდებარე თეთრიწყაროში, დაბა მანგლისი, საკადასტრო კოდი 84.18.40.157.

11 თებერვალი, 2013წ

დიმიტრი კოსტაროვი

„ახლა ვერ ჩამოვალ საქართველოში იმ ფინანსური კრიზისის გამო, რომელიც ჩვენს ოჯახს შენს გამო შეექმნა. როგორც ადრე გითხარი, თანხა – 400 000 აშშ დოლარი, რომელიც გადმოგირიცხე, მოგეცი მხოლოდ ლექსოს ოჯახის რეკომენდაციით. ეს ფული გამოიმუშავა ბაბუაჩემის, მამაჩემის, დედაჩემისა და ჩემმა ოჯახმა, მსოფლიო დეპრესიის დროს, ხანგრძლივი დროისა და უკიდურესად მძიმე შრომის შედეგად. შენ ჩაკეტე ჩემი ოჯახი უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში, მე მჯერდება ეს ფული სასწრაფოდ! საქართველოს რეკლამებში აშშ-ში, ხშირად ვისმენდი: დაბანდეთ ფული საქართველოში! დაბანდეთ საქართველოში! ის, რასაც შენ აკეთებ ჩემს ოჯახთან მიმართებაში და მთელი შენი ქცევა, სამარცხვინოა არა მხოლოდ ქართველებისთვის, არამედ – მთელი საქართველოსთვის!“

— ამ წერილის ავტორი ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე, ბენჯამენ ჩარლზ რიტერია, ცნობილი ავიაკონსტრუქტორის, ალექსანდრე ქართველიშვილის კოლეგის, ბენჯამენ რიტერის შვილი. ქართველიშვილმა და უფროსმა რიტერმა, ერთობლივად შექმნეს თვითმფრინავი P — 47 REPUBLIC THUNDERBOLT, რომელმაც მეორე მსოფლიო ომის მსვლელობაში დიდი გარდატეხა შეიტანა. ახლა კი ქართველი თაღლითების „გმირობის“ შედეგად, ლეგენდარული ავიაკონსტრუქტორის, ჩარლზ რიტერის ოჯახი ამერიკაში უსახლკაროდ რჩება. საქართველოში დაბანდებული ფული, მათი სახლის სესხის დასაფარი თანხა იყო, ქართველმა „მეგობრებმა“ კი, ამერიკელი ცოლ-ქმრის ნდობით ბოროტად ისარგებლეს.

ლეგენდარული ავიაკონსტრუქტორის, ალექსანდრე ქართველიშვილის ამერიკელი პარტნიორის, ჩარლზ რიტერის ოჯახი უსახლკაროდ რჩება

გვ. 7

გიორგი მარგველაშვილის, ნინო ბურჯანაძისა და დავით ბაქრაძის ქონება და საბანკო ანგარიშები



სახელმწიფო ენერგოსისტემის ბაზაზე სასწავლო ცენტრი გაიხსნა

გვ. 8

„გაზპრომის“ ცხელი ევროპული ზაფხული

დასავლეთი და რუსეთი ქიმიურ იარაღზე შეთანხმდნენ, მაგრამ მათი ენერგოდაპირისპირება მწვავდება

გვ. 10

კომპანია „სმაილი“ და ბანკი „რესპუბლიკა“ მომხმარებელს ერთობლივ აქციას სთავაზობენ

გვ. 9

„შსს გმობს რუსეთის საოკუპაციო ძალებისა თუ ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობის მიერ წარმოებულ უკანონო ქმედებებს“

შინაგან საქმეთა მინისტრს 18 არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა თხოვნა გაუგზავნეს გალის ხუთმხრივი შეხვედრების აღდგენის თაობაზე. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების თქმით, გალის რაიონში ე.წ. აფხაზური პასპორტების ამოღების პროცესი იწყება, რაც კიდევ უფრო გაართულებს იქ მცხოვრები ეთნიკური ქართველების ცხოვრებას, მათ შეეზღუდებათ გადაადგილება და ვერ შეძლებენ ზუგდიდის რაიონში გადმოსვლას. არასამთავრობო ორგანიზაცია „დევნილი ქალები — საკუთარი უფლებების დაცვისთვის“ ხელმძღვანელი ნონა უბილავა აცხადებს, რომ რუსეთის ხელისუფლებას განზრახული აქვს ე.წ. სასაზღვრო ზოლზე რუსები ჩაასახლოს და ამ პროცესში მათ ქართველები უშლიან ხელს. მისივე თქმით, იმ შემთხვევაში, თუკი ქართველები უარს იტყვიან საქართველოს მოქალაქეობაზე, ისინი შეძლებენ იქ დარჩენას, ხოლო თუ ქართველები ამაზე უარს განაცხადებენ, მაშინ მათ მოუწევთ აფხაზეთის დატოვება და გალის რაიონის ტერიტორიაზე რუსები ჩასახლდებიან. შინაგან საქმეთა სამინისტრო 18 არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ბატონ ირაკლი ღარიბაშვილის მისამართით გაკეთებულ განცხადებას გამოეხმაურა: **„შსს თავს ვალდებულად მიიჩნევს, საზოგადოებას აუხსნას, თუ რა არის სამინისტროს პოზიცია გალის რაიონში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) ჯგუფის შეხვედრების ფორმატის აღდგენასთან დაკავშირებით.**

შსს აქტიურადაა დაინტერესებული გალის რაიონში IPRM-ის ფორმატის შეხვედრების აღდგენით, რომელიც თავის მხრივ, იმართება საერთაშორისო მედიაციით და ეფექტური მექანიზმია ადგილზე არსებული პრობლემების თუ სხვადასხვა ინციდენტის თავიდან აცილებისა და დარეგულირების კუთხით. აღნიშნული ფორმატის შეხვედრები გალის რაიონში 2012 წლის აპრილში აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების მიერ ევროკავშირის მონიტორინგის მისიის ყოფილი ხელმძღვანელის ანჯეი ტიშკევიჩის ე.წ. პერსონა ნონ გრატად გამოცხადების ყოვლად გაუმართლებელი გადაწყვეტილების შემდეგ ჩაიშალა.

ფორმატის აღდგენასთან დაკავშირებით, შსს აქტიურად თანამშრომლობს ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების თანათავმჯდომარეებთან და იმედოვნებს, რომ ევროკავშირის მონიტორინგის მისიის ახალი ხელმძღვანელის, ბატონ ტოივო კლაარის საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენლების დახმარებით, უმალვე მოხდება გალის რაიონში ზემოთ აღნიშნული შეხვედრის ორგანიზება.

შსს ოკუპირებულ აფხაზეთსა და გალის რაიონში შექმნილ ვითარებას აქტიურად აკვირდება და მკაცრად გმობს რუსეთის საოკუპაციო ძალებისა თუ ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობის მიერ წარმოებულ უკანონო ქმედებების ფაქტებს.

სამინისტრო აღნიშნულ უკანონო ქმედებებთან დაკავშირებით, მუდმივ რეჟიმში აწვდის ინფორმაციას ევროკავშირის მონიტორინგის მისიას და ყველა იმ პარტნიორი სახელმწიფოს წარმომადგენლებს, ვინც დაინტერესებულია რეგიონში მშვიდობის, სტაბილურობის შენარჩუნებითა და ადგილზე არსებული პრობლემების მოგვარებით“.

„ვერსიანიუსი“

დვანში მცოცავი ოკუპაცია გრძელდება

რუსი მესაზღვრეები სოფელ დვანის მიმდებარე ტერიტორიაზე ე.წ. საზღვრის სადემარკაციო სამუშაოებს აგრძელებენ. ოკუპირებული ტერიტორიის პერიმეტრზე ადგილობრივი მოსახლეობა შეიკრიბა — ისინი აცხადებენ, რომ საკუთარ ბაღებში შესვლას უკვე ვეღარ ახერხებენ, რადგან მოსავლის აღების შესაძლებლობას რუსები აღარ აძლევენ. მათი თქმით, მხოლოდ ერთი საათის განმავლობაში მისცეს სიმინდის აღების შესაძლებლობა. ადგილობრივების თქმით, სოფლის მოსახლეობის 20-30% სასოფლო-სამეურნეო მიწების გარეშე დარჩა. დვანში ჩავიდნენ სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებიც, მათი თქმით, ადგილზე ვითარებას საფუძვლიანად შეისწავლიან, თუ რა სახის ზარალი მიიღო მოსახლეობამ და სამინისტრო ამ ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, გარკვეულ გადაწყვეტილებას მიიღებს, თუმცა რა ფორმით მოხდება ეს — სანაცვლოდ სარგებლობაში მიწების გადაცემით თუ სხვა სახის კომპენსაციით, ჯერჯერობით, დაუზუსტებელია. რუსი სამხედროები დასახლებულ პუნქტამდე, ანუ სოფელ დვანის საცხოვრებელ სახლებამდე, საავარაუდოდ, დღეს, 25 სექტემბერს, საღამოს მივლენ. სწორედ ამ დროს გახდება ცნობილი, ხომ არ შეექმნება საფრთხე სოფლის განაპირას მცხოვრები სამი მოსახლის სახლს.

„ინტერპრესნიუსი“

მოკლული მარიამ კოჩალიძის ოჯახს საცხოვრებლიდან ასახლებენ

ბათუმში მოკლული 17 წლის მარიამ კოჩალიძის ოჯახს დროებითი საცხოვრებლიდან ასახლებენ. როგორც კოჩალიძის დედამ, ჟუჟუნა ბერიძემ განაცხადა, ბათუმში, ჯავახიშვილის 72-ში წლების განმავლობაში მუშაობს და ცხოვრობს, დღეს კი მიიღო წერილი ფართის დაცლის შესახებ:

„მთავრობას ვთხოვე, ეს ფართი ჩემთვის გადმოეცათ შეღავათიან ფასში, თავის დროზე, გავარემონტე და შეძენაც მინდოდა. ჩემი ბინა იპოთეკით დავტვირთე და ბანკიდან კრედიტი გამოვიტანე. აღარც ეს ფართი მომყიდეს, ბინა კი ბანკმა წამართვა. მთავრობას დახმარებას ვთხოვდი, გასვენების დღეს კი წერილი მივიღე, ფართი დაცალეთო. დღესაც მივიღე წერილი, ალბათ, გამომასახლებენ და წასასვლელი არსად მაქვს“.

ჟუჟუნა ბერიძისვე თქმით, დახმარების თხოვნით რამდენჯერმე მიმართა აჭარის უმაღლეს საბჭოს, აჭარის მთავრობას, ბათუმის საკრებულოსა და საპატრიარქოს, თუმცა თხოვნა უშედეგოა. შვილმკვდარი დედა იმასაც აღნიშნავს, რომ მისი შვილის გამოძიების საქმეზე ახალი არაფერია: **„დღიური, ტელეფონი, კომპიუტერი, ველოსიპედი, ტანსაცმელი არ დამიბრუნეს. მეუბნებიან, არ დასრულებულა გამოძიებაო, მაჩვენეს 50 სანტიმეტრამდე თაბახის ფურცლები და მითხრეს, ერთი ამდენი კიდევ დაემატებაო“.**

მარიამ კოჩალიძე ბათუმის ახალი ბულვარის ბოლოს 23 ივლისს მოკლული იპოვეს. მის მკვლელობაში ირანის მოქალაქეა ეჭვმიტანილი.

„ინტერპრესნიუსი“

მიხეილ სააკაშვილი ბარაკ ობამას შეხვდა

საქართველოს პრეზიდენტი აშშ-ს პრეზიდენტს შეხვდა. ინფორმაცია მიხეილ სააკაშვილისა და ბარაკ ობამას შეხვედრის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის Facebook-ის ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნდა. მიხეილ სააკაშვილმა, საპრეზიდენტო ვადის დასასრულს, აშშ-ს პრეზიდენტს ორ ქვეყანას შორის არსებული თანამშრომლობისთვის მადლობა გადაუხადა. ბარაკ ობამა მიხეილ სააკაშვილის სამომავლო გეგმებით დაინტერესდა.

„თქვენ ძალიან მნიშვნელოვან მემკვიდრეობას ტოვებთ დემოკრატიული, რეფორმირებული საქართველოს სახით. რა გეგმები გაქვთ პრეზიდენტობის ვადის ამოწურვის შემდეგ“, — მიმართა აშშ-ს პრეზიდენტმა სააკაშვილს.

საქართველოს პრეზიდენტის განცხადებით, პოლიტიკის გარდა, მისი სამომავლო გეგმები საგანმანათლებლო სისტემასაც უკავშირდება. კერძოდ, იგი თბილისში საპრეზიდენტო ბიბლიოთეკის გახსნას გეგმავს. აშშ-ს პრეზიდენტმა აღნიშნული იდეა მოიწონა და განაცხადა: **„დიდი მადლობა მინდა გითხრათ, რომ რუსეთში ვიზიტისას პრინციპული პოზიცია დაიკავეთ. ახლა ძალიან სარისკო პერიოდში ვართ. საბოლოოდ, ვითარება აუცილებლად გამოსწორდება, მაგრამ თქვენივე სიტყვების პერეფრაზი რომ გავაკეთო, გაუმჯობესებამდე შეიძლება ძალიან გაუარესდეს. ასევე, დიდი მადლობა ყველაფრისთვის, რაც საქართველოსთვის გააკეთეთ და გთხოვთ, ყურადღება არ მოადუნოთ“,** — მიმართა სააკაშვილმა ობამას.

საქართველოს პრეზიდენტი აშშ-ში გაერო-ს გენერალური ასამბლეის მუშაობაში მონაწილეობს, სადაც სიტყვით გამოვა.

„ინტერპრესნიუსი“

„დემოკრატიული მოძრაობის“ დეკლარაციაში დარღვევები აღმოაჩინეს

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელის, რუსუდან შამუგიას განცხადებით, პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურს ნინო ბურჯანაძის პარტიამ ოფისების რაოდენობასთან დაკავშირებით, არასრული ინფორმაცია მიაწოდა: **„დეკლარაციაში არასრული ინფორმაციის არსებობის გამო, მათ დამატებითი წერილით მივმართეთ, თუმცა სრული პასუხი ვერც ამ შემთხვევაში მივიღეთ. იყო შემთხვევები, როცა ბურჯანაძე ხსნიდა ოფისებს და ამის შესახებ ინფორმაციას საინფორმაციო საშუალებებიდან ვიღებდით. ამის შემდეგ დაიწყო შემოვლა, რის შედეგადაც აღმოვაჩინეთ 90-მდე ოფისი მაშინ, როდესაც პარტიის მიერ დეკლარირებული იყო მხოლოდ 19. ამის გამო დავიწყეთ გამოკითხვების ჩატარება და მას შემდეგ, რაც საქმეზე ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო, დეკლარირებული ოფისების რაოდენობა 72-მდე გაიზარდა“.** შამუგიას განმარტებით, უსაფუძვლოა ბრალდება, რომ პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახური მხოლოდ ერთი პარტიის საქმიანობას სწავლობს.

„ინტერპრესნიუსი“

შინდისში მომხდარი მკვლელობა ცხელ კვალზე გახსნეს

შსს-ს შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს გორის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, წარსულში ნასამართლევი, ამჟამად, პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი, 1990 წელს დაბადებული ელგუჯა გ. დააკავეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა 23 სექტემბერს, საღამოს, გორის რაიონის სოფელ შინდისში, შურისძიების ნიადაგზე, ურთიერთშელაპარაკებისას თანასოფლელს, 1976 წელს დაბადებულ მალხაზ მთვარაძეს დანით მრავლობითი ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი ადგილზე გარდაიცვალა.

გამოძიების ინფორმაციით, გარდაცვლილი წარსულში ყაჩაღობისა და მკვლელობისთვის იყო ნასამართლევი. გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ-ს 108-ე მუხლით).

„ვერსიანიუსი“

გიორგი მარგველაშვილის, ნინო ბურჯანაძისა და დავით ბაქრაძის ქონება და საბანკო ანგარიშები

ეკატერინა მაისურაძე

საინტერესოა, რა ქონებას ფლობენ საპრეზიდენტო კანდიდატები ოფიციალურად, ან რა შემოსავლები ასახეს დეკლარაციებში. უკვე ცნობილია, რომ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ პრეზიდენტობის 26 კანდიდატი გაატარა რეგისტრაციაში, თუმცა მათი ერთი ნაწილისთვის ეს არჩევნები თავის შექცევის საშუალებაა, მეორე ნაწილი კი არჩევნებში მაქსიმალურად მაღალი შედეგის დაფიქსირებისთვის იბრძვის, რათა ამის წყალობით, შემდგომში საკუთარი პარტიისთვის საბიუჯეტო დაფინანსება მოიპოვოს. სადღეისოდ პრეზიდენტობის სამი ანგარიშგასაწევი კანდიდატია — გიორგი მარგველაშვილი, ნინო ბურჯანაძე და დავით ბაქრაძე. მართალია, ნებისმიერი კვლევის თანახმად, მარგველაშვილი ბურჯანაძესაც და ბაქრაძესაც საგრძნობლად უსწრებს, მაგრამ ბურჯანაძესა და ბაქრაძეს ნამდვილად აქვს შანსი, რომ არჩევნების შედეგებზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს. ამდენად, პრეზიდენტობის სხვა კანდიდატები, მათივე დაბალი რეიტინგების კვალობაზე, საზოგადოების დიდ ინტერესს არ იწვევენ, ამიტომ იმ საპრეზიდენტო კანდიდატთა ქონებრივ დეკლარაციებს გთავაზობთ, რომლებიც სხვებს საგრძნობლად უსწრებენ რეიტინგებში.

გიორგი მარგველაშვილი

„ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატმა, გიორგი მარგველაშვილმა ქონებრივი დეკლარაცია 2013 წლის 6 აგვისტოს შეავსო. ოჯახში ცხოვრობენ მამა — თეიმურაზ მარგველაშვილი, დედა — მზეანა გომელაური და შვილი — ანა მარგველაშვილი. რაც შეეხება უძრავ ქონებას, გიორგი მარგველაშვილის სახელზეა რეგისტრირებულია 775 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი დუშეთში, სააკაძის ქუჩა №37-ში. თეიმურაზ მარგველაშვილი ფლობს 165 კვადრატული მეტრი ფართობის ბინას თბილისში, პავლე ინგოროყვას ქუჩა №22-ში, გიორგი მარგველაშვილის სახელზეა რეგისტრირებული 946 კვადრატული მეტრი ფართობის მიწის ნაკვეთი დუშეთში, სააკაძის ქუჩა №37-ში და 200 კვადრატული მეტრი ფართობის საცხოვრებელი სახლი დუშეთში, იმავე მისამართზე. გიორგი მარგველაშვილის სახელზე ირიცხება 120 კვადრატული მეტრი ფართობის ბინა თბილისში, პაოლო იაშვილის ქუჩა №1/6-ში. მის სახელზეა რეგისტრირებული 1 200 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი ისევ დუშეთში, სააკაძის ქუჩა №37-ში. გიორგი მარგველაშვილს თიბისი ბანკის სახელფასო ანგარიშზე 1 464 ლარი, „ქართუ ბანკის“ სახელფასო ანგარიშზე კი 13 640 ლარი ერიცხება. თიბისი ბანკში საპრეზიდენტო კანდიდატს 6 392-ლარიანი ანაბარი აქვს გახსნილი. საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის რექტორის თანამდებობაზე, გიორგი მარგველაშვილის შემოსავალი 51 517 ლარი იყო. მზეანა გომელაურმა, როგორც სამხატვრო აკადემიის ლექტორმა, 1 931 ლარის შემოსავალი მიიღო, გიორგი მარგველაშვილმა კი, როგორც საქართველოს განვითარების კვლევითი ინსტიტუტის მკვლევარმა — 25 000 ლარი. ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერში, გიორგი მარგველაშვილს მიჰყავდა გადაცემა „კვირის აზრები“ და მისი ყოველთვიური შემოსავალი 1 400 ლარი იყო, ხოლო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პოსტზე, გიორგი მარგველაშვილის შემოსავალი 6 307 ლარს შეადგენდა. გიორგი მარგველაშვილის სახელზე ირიცხება 7 500 ევრო, რომელიც დეკლარაციაში თვითონვე განმარტა: „2007 წელს, მიუნჰენის საუნივერსიტეტო კლინიკაში „გროშჰადენი“, ჩემს სახელზე ჩაირიცხა 20 000 ევრო და ოპერაციის შემდეგ 7 500 ევრო დარჩა“. დეკლარაციის მიხედვით, საპრეზიდენტო კანდიდატის დედის, მზეანა გომელაურის საპენსიო შემოსავალი 1 440 ლარი, ხოლო მამის, თეიმურაზ მარგველაშვილის საპენსიო შემოსავალი 1 440 ლარია.

მას აქეთ, რაც გიორგი მარგველაშვილი კოალიცია „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი გახდა, ბევრი ცდილობს, მის ქონებრივ დეკლარაციაში შეუსაბამობა ან სხვაგვარი „შავი ლაქები“ აღმოაჩინოს. ცხადია, ამ მხრივ განსაკუთრებით ნინო ბურჯანაძისა და დავით ბაქრაძის საარჩევნო შტაბები ირჯებიან, თუმცა მათი მრავალთვიანი მცდელობა ამაო გამოდგა — გიორგი მარგველაშვილის საარჩევნო დეკლარაცია სუფთაა. ის კანონთან შესაბამისობაშია ფორმალურადაც და რეალურადაც ანუ რაც დეკლარაციაში უწერია, მარგველაშვილს ერთი ლარის სხვა ქონება არ გააჩნია და არც სხვა შემოსავალი მიუღია. მისი ქონებრივი დეკლარაცია მხოლოდ ციფრები და ქონების აღმნუსხველი ოფიციალური დოკუმენტი არ არის. ეს დეკლარაცია მეტად მეტყველია და მისგან გამომდინარე, უტყუარად შეგვიძლია დავასკვნათ, გიორგი მარგველაშვილის ქონებრივ დეკლარაციაში ასახული ქონება, ეს არის მისი ინტელიგენტი მშობლების პატიოსანი შრომით წლობით დაგროვილი ქონება, ხოლო თავად მარგველაშვილის შემოსავლები სუფთაა და გამჭვირვალე — ეს გახლავთ წარმატებული ადამიანის ასევე პატიოსანი შრომით მიღებული შემოსავლები, განსხვავებით ზოგიერთი საპრეზიდენტო კანდიდატისგან.

ნინო ბურჯანაძე

პრეზიდენტობის კანდიდატის, ნინო ბურჯანაძის ქონებრივი დეკლარაცია 2008 წლის 29 აპრილსაა შევსებული. მაშინდელი მდგომარეობით, ოჯახში ირიცხებიან ნინო ბურჯანაძე, მისი მეუღლე — ბადრი ბიწაძე და შვილი — რეზო ბიწაძე. რაც შეეხება უძრავ ქონებას, ნინო ბურჯანაძის სახელზე რეგისტრირებული იყო საცხოვრებელი ბინა თბილისში, ზ. ბოლქვაძის №3ᵃ-ში, რომლის ღირებულებაა 350 000 ლარი, აგრეთვე აგარაკი ბორჯომში, რომელიც ბადრი ბიწაძის სახელზეა გაფორმებული, ღირებულება კი 55 000 ლარია. 30 000-ლარადაა სახლი ცაგერის რაიონის სოფელ ორბელში, რომელიც ნინო ბურჯანაძის სახელზეა რეგისტრირებული. 15 000 ლარად კი — სახლი ჭიათურის რაიონის სოფელ ცხრუკვეთში, რომელიც ბადრი ბიწაძის სახელზეა. ბურჯანაძეს 2008 წლის დეკლარაციაში, ასევე, მითითებული აქვს 10 000-ლარიანი მიწის ნაკვეთი საგურამოში, რომელსაც ბადრი ბიწაძე ფლობს და „მიცუბიში პაჯეროს“ მარკის ავტომობილი, რომელიც 20 000 ლარადაა შეფასებული და ისიც ბადრი ბიწაძის სახელზეა გაფორმებული. 2008 წლის მდგომარეობით, დოიჩე ბანკის სადეპოზიტო ანგარიშზე ნინო ბურჯანაძე — 42 000 აშშ დოლარს, თიბისი ბანკის სადეპოზიტო ანგარიშზე — 6 560 აშშ დოლარს ფლობდა. საქართველოს ბანკის საბარათე ანგარიშზე ნინო ბურჯანაძეს 4 500 ლარი, ამავე ბანკში ბადრი ბიწაძეს კი 2 000 ლარი ჰქონდა მითითებული. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე, ნინო ბურჯანაძის შემოსავალი 49 179 ლარი იყო. შინაგან საქმეთა სამინისტროს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის პოსტზე ბადრი ბიწაძის შემოსავალი 47 483 ლარი გახლდათ. 2008 წელს, ნინო ბურჯანაძის სამივლინებო ხარჯები 37 149-ს, ხოლო ბადრი ბიწაძის სამივლინებო ხარჯები 33 199 ლარს შეადგენდა.

ამ დეკლარაციიდან აშკარად ჩანს, რომ ნინო ბურჯანაძე ყველაზე მდიდარი საპრეზიდენტო კანდიდატია, თუმცა ეს მხოლოდ უმცირესი ნაწილია იმ ქონებისა, რასაც ბურჯანაძე რეალურად ფლობს. ამ დეკლარაციით, ის ოსტატურად მანიპულირებს და მალავს იმ მრავალმილიონიან ქონებას, რომლის მფლობელიც გახლავთ. ნინო ბურჯანაძის მამა, საქართველოში ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი ანზორ ბურჯანაძე დეკლარაციაში არ ფიგურირებს — მას ნინო ბურჯანაძე საკუთარი ოჯახის წევრად არ მიიჩნევს. არადა, უმთავრესად, ანზორ ბურჯანაძისა და მისი მეგობრების სახელზეა რეგისტრირებული ათობით ფირმა, რომლებიც უკვე მრავალი წელია, სოლიდურ მოგებაზე მუშაობენ. გარდა მსხვილი ბიზნესკომპანიებისა, ანზორ ბურჯანაძეს ეკუთვნის რამდენიმე მილიონ ლარად შეფასებული უძრავი ქონებაც. ამ ყველაფერზე საკუთარ დეკლარაციაში ნინო ბურჯანაძე არაფერს წერს, მაგრამ ფაქტია — ის მამამისის უზარმაზარი ქონების ერთადერთი მემკვიდრეა, ეს ერთი. მეორეც, ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს ანზორ ბურჯანაძე და მის ქალიშვილს, ეს ქონება მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ კი არ გადაეცემა, დღესაც მშვენივრად სარგებლობს მამის მილიონებით. მოკლედ, ნინო ბურჯანაძეს მხოლოდ დეკლარაციაში აქვს დაფიქსირებული, რომ მისი მშობლები მასთან არ ცხოვრობენ და ვითომ მამის ქონებაზე არ მიუწვდება ხელი. რეალურად კი, მშობლებთან ერთად ცხოვრობს და საერთო ოჯახური ქონების განმკარგავი, ანზორ ბურჯანაძესთან ერთად, სწორედ ქალბატონი ნინო გახლავთ.

დეკლარაციაში არაფერია ნათქვამი ბადრი ბიწაძის ბიზნესზე. არადა, ცნობილია, რომ მას მრავალი სახის ბიზნესი გააჩნია და ყველა ფირმა მისი ნათესავებისა და მეგობრების სახელზეა რეგისტრირებული. ამის შესახებ ქართულ მედიაში არაერთი მასალა მომზადებულა, ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციებს არაერთი დოკუმენტი დაუდიათ იმის შესახებ, რომ ბიწაძის ფირმები ცრუმაგიერ პირებზეა რეგისტრირებული და რეალურად, მათ ერთი პატრონი ჰყავთ — ბადრი ბიწაძე. მოკლედ, ნინო ბურჯანაძე საკუთარი ქონებრივი დეკლარაციით ცდილობს, თავი საშუალო ფენაზე ცოტა მდიდარ ადამიანად წარმოაჩინოს, მაგრამ ეს არ გამოუვიდა — ქართულმა საზოგადოებამ ძალიან კარგად იცის, რომ მისი ოჯახი საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე შეძლებულია.

თუ ნინო ბურჯანაძეს, ზემოთქმულთან დაკავშირებით პრეტენზიები გაუჩნდება, ჩემი ნათქვამის დასადასტურებლად შეუძლია თავის საარჩევნო შტაბის ერთ-ერთ აქტიურ ფიგურას, მოძრაობა „თეთრების“ ლიდერს თემურ შაშიაშვილს მიმართოს. იმედია, ბატონი თემური მასაც გაუმეორებს იმ ფრაზებს, რომლებითაც წლების მანძილზე ბურჯანაძეების ოჯახის მისამართით ქართულ მედიას უხვად ამარაგებდა. ეს სულ რამდენიმე წლის წინ იყო — მაშინ, როცა ნინო ბურჯანაძე ხელისუფლებაში გახლდათ. აი, თუნდაც ეს: **„ბურჯანაძეებმა გამოხრეს მთელი ქუთაისი. ქარხანას ვინღა ჩივის, ჯართი არ დატოვეს ქუთაისში და უკრაინასა და თურქეთში წაიღეს გასაყიდად, თვითონ კი მილიონები ჩაიჯიბეს“**. მოდით, თემურ შაშიაშვილის ერთი ფრაზაც გავიხსენოთ: **„ნინო ბურჯანაძე არის კორუმპირებული და გახრწნილი კლასის პირმშო. ასეთი ქალბატონი როგორ აგვიშენებს დემოკრატიულ და არაკორუმპირებულ ქვეყანას, იქნებ მითხრას ვინმემ? ბურჯანაძეთა მოდგმა ხალხის ჯიბეებიდან ანუ ბიუჯეტიდან ფულის მოპარვაშია გაწაფული და დიდი ეჭვი მაქვს, ნინოც ღირსეულად გააგრძელებს ამ ოჯახურ ტრადიციას“.** დღეს თემურ შაშიაშვილი გამოდის და ღაწვები ოდნავაც რომ არ ეფაკლება, ისე უმტკიცებს საზოგადოებას, ნინო ბურჯანაძე ერთადერთი ღირსეული საპრეზიდენტო კანდიდატია, მისი გაპრეზიდენტების შემთხვევაში სამართლიანობა აღდგება ქვეყანაში და ის დემოკრატიულ სახელმწიფოს ააშენებსო. თემურ შაშიაშვილის ასეთი რადიკალური და ნაუცბათევი სახეცვლილებით გაოგნებულ მკითხველს ესღა შემიძლია ვუთხრა: „ჭეშმარიტად“ შეუცნობელ არს გზანი უფლისანი“ იმიტომ, რომ თავადაც გაოგნებული ვარ.

დავით ბაქრაძე

ნაციონალური მოძრაობის საპრეზიდენტო კანდიდატმა დავით ბაქრაძემ ქონებრივი დეკლარაცია 2013 წლის 24 მაისს შეავსო. ოჯახის წევრები არიან მეუღლე — მაკა მეტრეველი, შვილები — ეკატერინე და ნინო ბაქრაძეები. მამა — შუქრი ბაქრაძე და დედა — ლილი ბაქრაძე. დავით ბაქრაძის სახელზეა რეგისტრირებული 213 კვ.მ. ფართობის საცხოვრებელი ბინა თბილისში, ლარსის შესახვევი №3-ში და 28 კვადრატული მეტრი ფართობის ავტოფარეხი, ამავე მისამართზე.

დასასრული მე-4 გვერდზე

გიორგი მარგველაშვილის, ნინო ბურჯანაძისა და დავით ბაქრაძის ქონება და საბანკო ანგარიშები

მე-3 გვერდიდან

ლილი ბაქრაძის სახელზეა რეგისტრირებული 339 კვადრატული მეტრი ფართობის მიწის ნაკვეთი თბილისში, ტიბაანის ქუჩა №21-ში, 287 კვადრატული მეტრი ფართობის საცხოვრებელ სახლი, რომელიც ამავე მისამართზე მდებარეობს, ლილი ბაქრაძის სახელზეა რეგისტრირებული. სურამში, 9 აპრილის ქუჩა №96-ში არსებული 1 000 კვადრატული მეტრი ფართობის მიწის ნაკვეთის 33%-ს მფლობელი ლილი ბაქრაძე, ხოლო დანარჩენ წილს მისი პარტნიორები — გიორგი და ნათელა აბასაშვილები ფლობენ. სურამში, ამავე მისამართზე არსებული 150 კვადრატული მეტრი ფართობის საცხოვრებელ სახლში, 33%-იან წილს ლილი ბაქრაძე, ხოლო დანარჩენს მისი პარტნიორები — გიორგი და ნათელა აბასაშვილი ფლობენ. ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, თიბისი ბანკის სახელფასო ანგარიშზე, დავით ბაქრაძეს 265 ლარი ერიცხება, ამავე ბანკში მაკა მეტრეველის მიმდინარე ანგარიში 95 ლარია. თიბისი ბანკში, დავით ბაქრაძეს გახსნილი აქვს ანაბარი, რომელზეც 50 000 აშშ დოლარი ერიცხება, ეკატერინე ბაქრაძის მიმდინარე ანგარიში თიბისი ბანკში 230 ლარია, ლიბერთი ბანკში კი მაკა მეტრეველის სახელფასო ანგარიშზე 1 375 ლარი ირიცხება. დავით ბაქრაძე ფლობს 25 000 ლარსა და 10 000 აშშ დოლარს. საპრეზიდენტო კანდიდატის ოჯახის წევრების მიერ, სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, ასე გამოიყურება: დედამ, ლილი ბაქრაძემ LILI BAKRADZE TBE-დან, როგორც ინდმეწარმემ, 7 833 ლარის შემოსავალი მიიღო. მეუღლე, მაკა მეტრეველი იყო LLC FASHION GROUP-სა და LLC GEORGIAN KAMPANUS-ს პარტნიორი, ასევე NNIP FASHION ASSOCIATION-ის გამგეობის წევრი. ამ კომპანიებიდან მიღებული შემოსავლები ქონებრივ დეკლარაციაში, რატომღაც ასახული არ არის. დავით ბაქრაძემ, როგორც საქართველოს პარლამენტის წევრმა, 92 742 ლარის შემოსავალი მიიღო. მაკა მეტრეველი ჩაჩავას კლინიკის დირექტორის თანაშემწეა მარკეტინგის დარგში, სადაც 7 450 ლარი ერიცხება. შუქრი ბაქრაძე ინდმეწარმე „გიორგი აბასაშვილის“ ბუღალტერია და მისი შემოსავალი 5 400 ლარია. ჩაჩავას კლინიკის გარდა, მაკა მეტრეველი შპს „სინათლის ქალაქის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრიცაა, სადაც ის 5 000-ლარიან შემოსავალს იღებს. რაც შეეხება დავით ბაქრაძის შემოსავლებსა და გასავალს, ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, მისი სამივლინებო თანხა და შემოსავალი 19 328 ლარი იყო, საბანკო ანაბარზე დივიდენდის სახით, 1 760 აშშ დოლარი დაერიცხა, ხოლო გასავლის სახით, ეკატერინე ბაქრაძის სწავლის ღირებულება — 9 500 ლარი გადაიხადა. ნაციონალური მოძრაობის საპრეზიდენტო კანდიდატს საცხოვრებელი ბინის რემონტი 5 000 ლარი დაუჯდა, ხოლო ფიზიკური პირის ქონების გადასახადის სახით 1 887 ლარი გადაიხადა.

დავით ბაქრაძე საკმაოდ შეძლებული კაცი ყოფილა. მისი ქონებრივი დეკლარაცია, ერთი შეხედვით, სუფთაა და ეჭვმიუტანელი, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. ჯერ ერთი, დეკლარაციაში გარკვევით წერია, რომ დავით ბაქრაძის მეუღლე მაკა მეტრეველი შპს „სინათლის ქალაქის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრია და ხელფასი 5000 ლარი აქვს. ეს სწორედ ის „სინათლის ქალაქია“, რომელიც თბილისის მერიის ბიუჯეტიდან ფინანსდება. ეს გახლავთ უფუნქციო შპს, მასში დასაქმებულნი არიან ნაცმოძრაობის მხარდამჭერები შოუბიზნესისა და სხვა სფეროებიდან. დასაქმებაც პირობითია — მათ ისიც არ იციან, სადაა „სინათლის ქალაქის“ ოფისი, უბრალოდ, ნაცმოძრაობის მხარდაჭერის საფასურად ფორმალურად არიან გაფორმებულნი ამ შპს-ში და ყოველთვიურად დაუმსახურებელი ხელფასი ერიცხებათ. „სინათლის ქალაქის“ სამეთვალყურეო საბჭოში კი 36 ადამიანია. სამეთვალყურეო საბჭოში ელიტაა თავმოყრილი — ნაცმოძრაობის ექსდეპუტატები, მათი ოჯახის წევრები და მათი მხარდამჭერი ე.წ. ცნობადი სახეები. მაგალითად, კობა ხაბაზი, გიგა ნასარიძე, გიორგი ასანიძე და დავით ბაქრაძის მეუღლე მაკა მეტრეველი. დიდი ეჭვი მაქვს, არც მაკა მეტრეველმა იცის, სადაა „სინათლის ქალაქის“ ოფისი და თვეში 5000 ლარს ისიც საბჭოს სხვა წევრებივით, დაუმსახურებლად იღებს. ამ კომპანიაში მისი საქმიანობის შესახებ, მაკა მეტრეველს ჯერ მის არც ერთ ინტერვიუში არ განუცხადებია. არადა, სხვა ყველა სფერო, სადაც დასაქმებულია, მისთვის მნიშვნელოვანია და მათ შესახებ ქართველ ჟურნალისტებს ხშირად ესაუბრება. ეს გვაფიქრებინებს, რომ „სინათლის ქალაქის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრობა მისთვის არც რეალური სამსახურია და არც ამის აფიშირება სურდა. „სინათლის ქალაქმა“ კი მხოლოდ მისი მეუღლის ქონებრივ დეკლარაციაში იჩინა თავი. ეტყობა, სხვა გზა არ იყო — ამ ფაქტს ვერ დამალავდნენ. მოკლედ, „სინათლის ქალაქი“ ელიტური, ე.წ. გაპრავებული კორუფციის ნათელი მაგალითია და ამ კორუფციაში პრეზიდენტობის კანდიდატის, დავით ბაქრაძის მეუღლე მაკა მეტრეველიცაა გარეული. „სინათლის ქალაქის“ სამეთვალყურეო საბჭო რომ მავანთათვის თბილისის მერიის ბიუჯეტიდან „თეთრი“ ფულის მიღების წყაროა, ამას საბჭოს წევრთა რაოდენობაც ადასტურებს. „მაიკროსოფტს“ წლიურად 40 მილიარდ დოლარზე მეტი გაყიდვები აქვს, მსოფლიოს 102 ქვეყანასა და რეგიონში აქვს ფილიალები და 70 000 კაცი ჰყავს დასაქმებული, არადა ამ კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო სულ 17 ადამიანისგან შედგება. რა უბედურებაა უფუნქციო „სინათლის ქალაქის“ სამეთვალყურეო საბჭოში 36 კაცი?

დავით ბაქრაძე ქონებრივ დეკლარაციაში არ აფიქსირებს, მეუღლეს სამოდელო კომპანიებიდან ჰქონდა თუ არა შემოსავალი. არადა, დადასტურებული ფაქტია, რომ მაკა მეტრეველის პატრონაჟით მოწყობილი „ჯორჯიან ფეშენ ვიკი“ თბილისის მერიამ და ნაცმოძრაობასთან ალიანსში მყოფმა ბიზნესმენებმა დააფინანსეს. სად და რაში დაიხარჯა ეს ფული და დარჩა თუ არა მოგება მაკა მეტრეველს, დეკლარაციაში არაფერია ნათქვამი. ურიგო არ იქნებოდა, ამ კუთხით დავით ბაქრაძეს მეტი სიცხადე შეეტანა დეკლარაციაში.

გიორგი მარგველაშვილმა პრეზიდენტობის კანდიდატებს მაღალი სტანდარტები დაუწესა

საპრეზიდენტო მარათონის დასაწყისში, ზემოჩამოთვლილი კანდიდატებიდან, მხოლოდ ორი იმყოფებოდა სახელმწიფოს სამსახურში. გიორგი მარგველაშვილი განათლების მინისტრი გახლდათ, დავით ბაქრაძე კი პარლამენტის დეპუტატი და უმცირესობის ლიდერი. გაცხადდა თუ არა, რომ გიორგი მარგველაშვილი იქნებოდა კოალიცია „ქართული ოცნების“ კანდიდატი, პირველი რაც გააკეთა, ის იყო, რომ განათლების მინისტრის პოსტიდან გადადგა. არადა, ამას კანონი არ ავალდებულებდა — მას შეეძლო, მინისტრის რანგში ეწარმოებინა სარჩევნო კამპანია. ამ ნაბიჯით გიორგი მარგველაშვილმა უარი თქვა მრავალ პრივილეგიაზე. ამასთან, მან ძირშივე მოსპო იმის ეჭვიც კი, რომ საარჩევნო კამპანიისას საბიუჯეტო რესურსს გამოიყენებდა — ავტომობილს, საწვავს, მობილური ტელეფონის ხარჯს, მინისტრის თანაშემწეების მომსახურებას და სხვ. დავით ბაქრაძე კი ამ ყველაფერს ვერ შეელია. იმას არ ვამბობ, რომ აუცილებლად პარლამენტარის მანდატზე უნდა ეთქვა უარი (არც ეს იქნებოდა ურიგო), თუმცა მას შეეძლო, უარი ეთქვა საბიუჯეტო რესურსზე, მაგრამ ასე არ მოიქცა. დღეს, პარტია ნაციონალური მოძრაობის საპრეზიდენტო კანდიდატი დავით ბაქრაძე ამომრჩევლებს სახელმწიფოს კუთვნილი ავტომობილით ხვდება, იყენებს პარლამენტარისთვის ლიმიტირებულ საწვავს, მუდამ დაჰყვება დაცვა, რომელსაც ხელფასს სახელმწიფო უხდის... პრინციპში, ნაცმოძრაობის კანდიდატი სხვაგვარად რომ მოქცეულიყო, ის უნდა გაგვკვირვებოდა — ამ პარტიის პოლიტიკური ლიდერებისთვის ბიუჯეტის ხარჯზე ცხოვრება ხომ ნორმა და ცხოვრების უკვე დამკვიდრებული წესია. ბაქრაძის მიერ საბიუჯეტო რესურსის გამოყენების სხვა, წვრილმანი ფაქტების გახსენებაც შეიძლება, მაგრამ ეს ვიკმაროთ.

საზოგადოების უდიდესი ნაწილი მიიჩნევს, რომ გიორგი მარგველაშვილმა მინისტრის პოსტიდან გადადგომით, საბიუჯეტო რესურსზე უარის თქმით, ახალი, მაღალი სტანდარტი დაუწესა პრეზიდენტობის ყველა კანდიდატს, დაუწესა თამაშის პატიოსანი წესები, რომელიც დღემდე უცხო იყო ქართული პოლიტიკისთვის. მან ამ ნაბიჯით მათაც და ხალხსაც დაანახა, რომ პრეზიდენტობის კანდიდატი სწორედ გაპრეზიდენტებამდე უნდა უფრთხილდებოდეს ბიუჯეტის ანუ ხალხის ფულს. ასეთი სახელმწიფოებრივი მიდგომით, ცხადია, სრულიად საფუძვლიანია ვარაუდი, რომ პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ბიუჯეტს პირადი ინტერესებისთვის არ გამოიყენებს.

წინასაარჩევნო პერიოდში გიორგი მარგველაშვილისა და დავით ბაქრაძის ქმედებების შეფასება მიუკერძოებელ ექსპერტებს ვთხოვეთ.

ზაზა შათირიშვილი: „ძალიან კარგია, რომ გიორგი მარგველაშვილი ასე მოიქცა — თანამდებობიდან გადადგა და საბიუჯეტო რესურსის გამოყენებაზე უარი თქვა.ეს მეტყველებს, რომ ის კანონს იცავს და უნდა ვიგულისხმოთ, რომ როცა პრეზიდენტი გახდება, მაშინაც ასე გააგრძელებს. ეს ჩვენს სინამდვილეში იყო არაორდინალური მოვლენა, რადგან დღემდე ყველა არჩევნები იყო კანონდარღვევათა უწყვეტი ჯაჭვი და პრეზიდენტობის არც ერთ კანდიდატი, ვისაც მასზე ხელი მიუწვდებოდა, საბიუჯეტო რესურსის გამოყენებაზე უარს არ ამბობდა. მარგველაშვილი კი აკეთებს იმას, რასაც ყველა პატიოსანი, კანონმორჩილი და კანონის პატივისმცემელი მოქალაქე გააკეთებდა. პასკალმა თქვა თავის დროზე: თუ ვინმეს მამა არ მოუკლავს და ეკლესია არ დაუწვავს, ადამიანად არ ითვლებაო. აი, ასეთ მდგომარეობაში ვიყავით — თუ პოლიტიკოსი კანონს არ არღვევდა, მას პოლიტიკოსად არ მივიჩნევდით, მეტადრე, სახელისუფლებო გუნდის წარმომადგენელს. ამდენად, გიორგი მარგველაშვილის ნაბიჯებზე შემიძლია ცალსახად ვთქვა — ის მაღალი სტანდარტების დაწესებას ცდილობს არა მხოლოდ წინასაარჩევნოდ, არა მხოლოდ საპრეზიდენტო კანდიდატებისთვის, საერთოდ, ქართულ პოლიტიკაში.

დავით ბაქრაძე თუ ბიუჯეტის ხარჯზე ატარებს საარჩევნო კამპანიას, ეს ძალიან ცუდია. ამით ბაქრაძე ვერაფერს მოიგებს. საზოგადოებას შესაბამისი მესიჯი მიეწოდება და ცხადია, ეს არჩევნების შედეგებზე აისახება მისთვის საზიანოდ“.

რამაზ საყვარელიძე: „გიორგი მარგველაშვილის მხრიდან ეს ნამდვილად იყო ქართულ პოლიტიკაში მაღალი სტანდარტების დაწესების მცდელობა, რაც მისასალმებელი და დასაფასებელია. თუ ვინმე ფიქრობს, რომ ეს წინასაარჩევნო ტრიუკი იყო, გავაწბილებ — მარგველაშვილის საქციელი ნამდვილად გულწრფელი იყო.

დავით ბაქრაძეზე კი შემიძლია ვთქვა, რომ საბიუჯეტო რესურსის გამოყენება უფრო დააზარალებს, ვიდრე სიკეთეს მოუტანს არჩევნებში. ეს, ცხადია, საზოგადოების ნაწილს მის მიმართ ნეგატიურად განაწყობას“.

ხათუნა ლაგაზიძე: „ძალიან მნიშვნელოვანია ის, რაც გიორგი მარგველაშვილმა გააკეთა. კარგი იქნება, თუ გაპრეზიდენტების შემთხვევაშიც შეინარჩუნებს ბიუჯეტის მიმართ ამგვარ მიდგომას. საქართველოში ნებისმიერ არჩევნებზე დასაწესებელია ახალი, მაღალი სტანდარტები და კარგია, რომ მარგველაშვილმა ეს პროცესი დაიწყო — ამ არჩევნებში თავად ცდილობს მაღალი სტანდარტის დაწესებას. აქვე აღვნიშნავ, რომ საქართველოში დღემდე არ ყოფილა ასეთი თავისუფალი არჩევნები, თუ 1990 წელს გამართულ არჩევნებს არ ჩავთვლით. ხალხს აზრის გამოთქმის, პოზიციის დაფიქსირებისა არ ეშინია.

დავით ბაქრაძემ რა ნაბიჯიც უნდა გადადგას, მას ამ არჩევნებში წარმატების არანაირი შანსი არ გააჩნია და რატომ უნდა მოიკლოს ფუფუნება? — ეტყობა, ასე ფიქრობს თავად. იგი რეალურად აფასებს საკუთარ შანსებს. გასაკვირი ის იქნებოდა, ნაცმოძრაობის კანდიდატს საბიუჯეტო რესურსის დაზოგვასა და კანონის დაცვაზე რომ ეფიქრა“.

ნინო კომახიძე
599-95-33-16

„ან მიჩივლონ, ან ბრალდებელი დასახელდეს და მე ვუჩივლებ!

ბიძინა გუჯაბიძე ღუმიღს არღვევს და განაწყენებუღ ხაღხს პასუხობს

„კონსერვატორი“ პარლამენტარი ბიძინა გუჯაბიძე ადიგენში ხე-ტყის გასხვისების ბრალდების გამო, სკანდალში გაეხვია. სკანდალის მეორე რაუნდი კი მას მერე დაიწყო, რაც გუჯაბიძემ ბრალდებას გინებით უპასუხა და კიდევ მეტი ეჭვის საფუძველი გააჩინა. ამის შემდეგ დეპუტატი მასმედიასთან აღარ გამოჩენილა. ადიგენში შექმნილ მდგომარეობასა და მის წინააღმდეგ არსებულ ბრალდებებზე ამ რაიონში დამარცხებული მაჟორიტარი ბიძინა გუჯაბიძე „ვერსიასთან“ მცირეხნიანი პაუზის შემდეგ საუბრობს.

— თავი გაერთიანებული ოპოზიციის აქციაზე გგონიათ, ბრალდებებს გინებით რომ პასუხობთ? რა ხდება რეალურად ადიგენში?

— პირობას ვდებ, გინება და უწმაწური სიტყვები აღარ იქნება! საჯაროდ არასოდეს ვიგინები. გავბრაზდი და ჩემს სიტყვებს არც უარვყოფ, მაგრამ ჟურნალისტს შევუთანხმდი, რომ ამ ფრაზას ასე არ გამოაქვეყნებდა. მომხდარმა ორივე ჩვენგანის რეპუტაციაზე ცუდად იმოქმედა. რაც შეეხება ბრალდებებს, მათ დამტკიცება სჭირდება. ჯერ ერთი, ადიგენში არავინ შეცვლილა და მმართველ პოსტებს ყველგან ისევ ძველი კადრები იკავებს. ვინმეს შეცვლა რომც მდომებოდა, ამას ჩემი სტატუსის გამოც ვერ მოვახერხებდი. რაიონის მაჟორიტარი მე კი არა, ნაციონალი ზურაბ ჩილინგარაშვილი გახდა. რომც შემძლებოდა ვინმეს მოხსნა-დანიშვნა, ნაციონალს რატომ დავნიშნავდი, ეს ხომ აბსურდია?! მსგავსი სიტუტუცის გამო ჩემს განვლილ ცხოვრებას ხაზს ვერ გადავუსვამ და რეპუტაციას ვერ შევილახავ!

— საქმე ისაა, რომ თავად ადიგენელები გდებენ ბრალს ხე-ტყის გასხვისებაში, თქვენი პარტიის კიდევ ერთ წევრ ნინო ჩოგოვაძესთან ერთად.

— ნინო ჩოგოვაძე „კონსერვატორების“ თავმჯდომარეა ადიგენში. იგი ერთადერთი იყო, ვინც საპარლამენტო არჩევნებზე „ოცნებისთვის“ ფართის მიქირავება გაბედა, როცა საარჩევნო შტაბი კარავში გავხსენით. მას კარგად ვიცნობ. ხე-ტყესთან არავითარი შეხება არ აქვს. მეტიც, ისიც ვიცი, რომ ზამთრის მოახლოების მიუხედავად, ჯერ შეშა სახლისთვისაც კი არ მოუმარაგებია და რა ხე-ტყის ბიზნესზეა საუბარი?!

— ისე, სქემა მშვენივრად ლაგდება — ჩოგოვაძე ხე-ტყეს აკონტროლებს, თქვენ ასაღებთ, ბიძინა გიორგობიანი კი ხელს გაფარებთ. ამ ბიზნესში მართლა პარტიული კლანი ხომ არ გაქვთ?

— ვინც ასეთ ბრალდებებს მიყენებს, ალბათ, საკუთარი ნამოქმედარით მსჯელობს. ხე-ტყის უკანონოდ ჭრას აქეთ ვებრძვი. მე და გია ცაგარეიშვილს რეიდები გვაქვს და ხე-ტყის ჭრის პროცესს, ასევე წიაღისეულის მოპოვებასაც ვაკვირდებით ჭიათურაში, ტყიბულში, ლაგოდეხში... მალე ხარაგაულშიც ჩავალთ. ბიძინა გიორგობიანიც ხმალამოღებული იბრძვის, მაგრამ ძველი კადრების შეცვლა ჯერაც ვერ მოხერხდა და, შესაძლოა, რაღაც რეციდივები მაინც იყოს.

— ვის აქვს თქვენთვის მსგავსი რამის დაბრალების ინტერესი?

— განაწყენებულ ხალხს... კონკრეტული სახელები და გვარები რომ დავასახელო, მეტი საფუძველი უნდა მქონდეს. ზოგი ნაციონალია, ზოგი ჩვენთან ერთად წინასაარჩევნო პერიოდში იყო და თანამდებობა რომ ვერ მიიღო, ხმებს მივრცელებს. ვინც იშრომა, ფულადი ანაზღაურებაც მიიღო, მადლობაც და გვერდით დგომაც. უბრალოდ, ზოგს მის მიერ გაკეთებულ საქმეზე გადამეტებული წარმოდგენა გაუჩნდა და თავისი რომ ვერ გაიტანა, ბოღმასა და სიბინძურეს ამ ფორმით ანთხევს.

— თქვენ წინააღმდეგ საქმე რომ აღიძრას, ამისთვისაც მზად ხართ?

— კი, ბატონო, აღიძრას, მეც ამის მომხრე ვარ — ან თავად მიჩივლონ კონკრეტულმა პირებმა, ან ბრალმდებელი დასახელდეს და მე ვუჩივლებ!

— ადიგენის ნაციონალების მაჟორიტარი ხომ არაა ჩაბმული ამ ყველაფერში, თუ ერთმანეთთან სრულ კოჰაბიტაციაში ხართ?

— არ ვიცნობ ამ კაცს, არანაირი შეხება არ მაქვს! მასთან შეხვედრას ვერიდები — არ მინდა, უხერხულობაში ჩავვარდე, რადგან შესაძლოა, ის ვერ მოვითმინო, რაც წინასაარჩევნოდ უკეთებია. მაგ ადამიანთან ჩემთვის კოჰაბიტაცია არც დაწყებულა და არც დაიწყება. ვისაც დანაშაული არ ჩაუდენია, გამარჯობას ვეუბნები. კოჰაბიტაციის დასრულება არ ნიშნავს, რომ ამის მერე ნაციონალურ მოძრაობას დავერევით და უკანონოდ გავუსწორდებით. საპრეზიდენტო და გუბერნატორების ინსტიტუტი მათ ხელში აღარ იქნება და ხელსაც ვეღარ შეგვიშლიან. მარგველაშვილს კი შანსი უნდა მივცეთ, პრეზიდენტის პოსტზე თავი აჩვენოს. მას ბევრი კარგი საქმის გაკეთება შეუძლია, შეკვეცილი უფლებებითაც კი.

— პრემიერის უფლებების შეკვეცის საპარლამენტო განხილვა კი რამდენჯერმე გადადეთ — რატომ?

— ვცდილობთ, ყველაფერი სამართლებრივად დავარეგულიროთ და კანონში ისეთი ცვლილებები შევიტანოთ, რაც კრიზისის შექმნის საშუალებას არც ერთ შტოს, მათ შორის აღარც პრემიერს მისცემს.

— თავს იზღვევთ, რომ ივანიშვილმა ან მომდევნო პრემიერმა საპრეზიდენტო არჩევნებს ვადამდელი საპარლამენტოც არ მიაყოლოს?

— ბიძინა ივანიშვილი გონიერი კაცია და თავისივე აშენებულს არ დაანგრევს. ახალი პრემიერი კი ისეთ ქმედებას არ ჩაიდენს, რაც ქვეყანას არ წაადგება. არა მგონია, ამ პარლამენტის დაშლა აუცილებელი იყოს, იმის მიუხედავად, რომ მასში ბევრი ნაციონალია.

— შეუსრულებელი დაპირებები, იპოთეკარები კვლავ ქუჩაში, გაძვირებული ფასები ყველა პროდუქტზე — რა გაგიკეთებიათ ამ 1 წლის განმავლობაში?

— იპოთეკარების თემაზე ვმუშაობთ, ამ საქმის მოგვარება არც ისე იოლი აღმოჩნდა, როგორც კანონპროექტის ავტორ გედევან ფოფხაძეს ეგონა. ცვლილებას მოუმზადებლები შევხვდით, ინიციატივა გაუაზრებელი და დასახვეწი იყო. ახლა ვხვდებით, რაღაც ხარვეზი გაგვეპარა და უფრო სრულყოფილად დავიწყეთ მუშაობა. თან, პარლამენტი ყოვლისშემძლე არ არის, ყველაფერი საკუთარ თავზე აიღოს — ჩვენი ფუნქცია კანონშემოქმედებითი საქმიანობაა და უკვე 800-მდე კანონია შეცვლილი.

— სააკაშვილის ხელისუფლებაც დაუსრულებლად ცვლიდა კანონებს!

— ახლა იძულებულნი ვართ, მისი გაფუჭებული საქმეები გამოვასწოროთ... ისე, ხშირად ვფიქრობ, 25 წელზე მეტია, პოლიტიკაში ვარ და საქმე იქამდე ვერ მივიყვანე, ქვეყანაში ნორმალური ცხოვრება დაიწყოს. ალბათ, იმდენი ენერგია არ დავხარჯე, რამდენიც საჭირო იყო — რაღაც საკითხებში მეტი ძალისხმევა რომ გამომეჩინა, შესაძლოა, ახლა ასეთ მდგომარეობაში არ ვყოფილიყავით.

— ახლა მაინც ხართ ხელისუფლებაში და მეტი ძალისხმევის გამოჩენაც შეგიძლიათ, თუმცა პარლამენტი არჩევნებამდე ერთი თვით ადრე მუშაობას წყვეტს. წინასაარჩევნოდ „კონსერვატორები“ რა პროგნოზს აკეთებთ?

— გიორგი მარგველაშვილს ყველანი ამოვუდგებით მხარში. ჩემი აზრით, ის ხმათა დაახლოებით, 65-68 %-ს მიიღებს. მეორე ადგილისთვის კი ძალიან მცირე სხვაობით, ბურჯანაძე-ბაქრაძე იბრძოლებენ. დღეს არ ჩანს, ვინ გავა მეორე ადგილზე. ალბათ, ეს უფრო საარჩევნო კამპანიის ბოლოს გამოჩნდება. ქართველი ხალხი დაუნახავი არ არის — მარგველაშვილს ბევრი პლუსი აქვს და გაურკვეველ ბურჯანაძესა და კარგადგარკვეულ ბაქრაძეს შორის არჩევანს არ გააკეთებს! ჩემთვის მართლა გაურკვეველია, რატომ ამბობს ბურჯანაძე, პრეზიდენტად რომ მოვალ, იმას დავიჭერ, ამას დავიჭერო — ვინ ეკითხება ბურჯანაძეს ვინმეს დაჭერას? ზუსტად მას ელოდება ახლა სამართალი! ეს უბრალოდ, წინასაარჩევნო განცხადებებია, რომლისაც თავად ბურჯანაძესაც არ სჯერა. ჩვენც გვაქვს განცდა, რომ როცა ნაციონალური მოძრაობა მმართველობის ყველა სადავეს ჩამოსცილდება, სამართალი სრული მასშტაბით ამოქმედდება. ოღონდ ეს იმას არ ნიშნავს, მასობრივი დაჭერები დაიწყოს. არც ესაა სწორი და არც ჩვენ ვართ „დამჭერები“ — ამ ყველაფერს კანონი პროკურატურა და სასამართლო არეგულირებს, თუმცა ჩვენზე მეტად არავის უნდა, სამართალი აღდგეს და ჩვენი დაპირებაც შესრულდეს...

„ყველა ჩემს კოლეგას ვურჩევ, მინიმუმ, მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდე ერთმანეთი გავიტანოთ“

რისკენ მოუწოდებს ზურაბ ტყემალაძე კოალიციის წევრებს და რატომ დასჭირდათ „მრეწველებს“ ღევან პირველის სახით „ახალი სისხლი“

ირუსუდან შელია
557-100-768

ავსტრიიდან საქართველოში დაბრუნებული ბიზნესმენი ლევან პირველი პარტია „მრეწველებში“ ახალგაზრდულ ფრთას უხელმძღვანელებს. მეტიც, ის გრძელვადიან პოლიტიკურ პერიოდზე გათვლილი გეგმებზე საუბრობს. რატომ ფიქრობს, რომ დევნილი ბიზნესმენი პარტიისთვის „ახალი სისხლი“ იქნება და სადემარკაციო მავთულხლართების ფონზე, რუსეთთან ურთიერთობის დალაგების რა პერსპექტივა არსებობს, „ვერსიას“ პარტია „მრეწველების“ ლიდერი ზურაბ ტყემალაძე ესაუბრა.

— ლევან პირველი 1993 წლიდან ჩვენი პარტიის წევრია. „მრეწველებში“, ძირითადად, ხნიერი პოლიტიკოსები ვართ, ამიტომ პარტიას გაახალგაზრდავება სჭირდება.

— პარტიას ახალ სისხლს ექსპარლამენტარი, აწ უკვე ყოფილი ძებნილი ლევან პირველი შემატებს?

— ლევან პირველი ნაციონალური მოძრაობის მიერ უკანონოდ დევნილი იყო, თორემ არც პროკურატურაში და არც სასამართლოში მის წინააღმდეგ საქმე არასოდეს აღძრულა. მას, საკაშვილი ებრძოდა და ბინძურ პიარკამპანიასაც არ ერიდებოდა.

— ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ლევან პირველმა ახალგაზრდა პირი ქორწილში მოკლა, პიარკამპანიის ნაწილი იყო?

— არავინ მოუკლავს... ეს ბრალდება საგამოძიებო ორგანოს არასოდეს წაუყენებია. პარტია იმ ეტაპზე მივიდა, ძალები უნდა მოიკრიბოს და როგორც კოალიციის შიგნით, ასევე მის ფარგლებსგარეთ აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაერთოს. ამისთვის ყველა ნიჭიერს გამოვიყენებთ.

— კოალიციის ფარგლებსგარეთ პოლიტიკურ მოღვაწეობაში რას გულისხმობთ, ოპოზიციაში გადასასვლელად ემზადებით?

— არა, უბრალოდ, კოალიციაში შემავალი ყველა პოლიტიკური ძალა პარტიული სტრუქტურების გაძლიერებას ცდილობს. პირადად მე, ასეთი პოზიცია მაქვს: სანამ კოალიციიდან ძალით არ გამოგვაგდებენ, გაერთიანებას არ დავტოვებთ. კოალიციის დაშლის პერსპექტივა არ არსებობს. ყოველ შემთხვევაში, „მრეწველები“ ამის ინიციატორები არასოდეს ვიქნებით და თუ მართლაც, ერთ დღეს, ამ პროცესებამდე მივალთ, ყველა ჩემს კოლეგას ვურჩევ, რომ მინიმუმ მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდე ერთმანეთი გავიტანოთ.

— რადგან იცით, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელისუფლებაში ყოფნის შანსს დაკარგავთ?

— რა თქმა უნდა, ხელისუფლების შესანარჩუნებლად კოალიციის ერთიანობა აუცილებელია. თუ ვინმეს მთავრობაში ყოფნა არ მოსწონს, შეუძლია, პროცესს გაემიჯნოს, მაგრამ ამ სცენარს არავინ განიხილავს. მიუხედავად სკეპტიკოსების აზრისა, კოალიციამ შეძლო ქვეყნის მართვის სადავეების ხელში აღება და სასიკეთო ნაბიჯებიც გადადგა. საღი და სტაბილური სახელმწიფოს მშენებლობას ვგეგმავთ და პროცესი უკვე დაწყებულია.

— ის, რაც დიცსა და დვინში ხდება, სტაბილური ქვეყნის მშენებლობის პროცესია?

— პრობლემები არსებობს, მაგრამ ქვეყნის მართვას ნაციონალური მოძრაობის მეთოდებით არ ვაპირებთ — პროვოკაციას ვერ ავყვებით და რუსეთთან ვერც საომარ მოქმედებებში ჩავერთვებით. ძალისმიერი მეთოდით ამ პრობლემის მოგვარება შეუძლებელია. აქამდე ნაციონალების არასწორი პოლიტიკის გამო მივედით. დღეს კი ხელისუფლება სწორი გზით მიდის.

— ერთი წელია ხელისუფლებაში ხართ. მუდმივად ნაციონალური მოძრაობისკენ თითისშვერა გამართლებულია?

— ე.წ. საზღვართან სადემარკაციო ხაზს „ქართული ოცნება“ ავლებს? დიახ, ეს 2008 წელს ქართული მხარის უგნური პოლიტიკის შედეგია. ვერ ავიღებთ პასუხისმგებლობას იმაზე, რაც ნაციონალების მმართველობის დროს მოხდა.

— თქვენი პარტია ღიად უჭერდა მხარს რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის აღდგენას. რუსეთი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით, პოზიციების დათმობას არ აპირებს. დღესაც იგივე აზრზე ხართ?

— რა თქმა უნდა. რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის აღდგენა ხელისუფლების მიერ მიღებული სწორი გადაწყვეტილებაა. რამეს კი არ ვთმობთ, არავითარ შემთხვევაში! საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე უნდა ვიმოქმედოთ. სადემარკაციო ზოლის გავლება უნდა გავაპროტესტოთ და ბევრიც უნდა ვიხმაუროთ, რომ მეგობარმა სახელმწიფოებმა მხარი დაგვიჭირონ, მაგრამ რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის აღდგენაზეც არ უნდა ვთქვათ უარი. პირიქით, ქვეყნის განვითარებისთვის ეს აუცილებელია. რაც უნდა რთულ მდგომარეობაში აღმოვჩნდეთ ე.წ. საზღვართან დაკავშირებით, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ რუსეთთან ურთიერთობა გავაღრმავოთ.

— ევრაზიულ კავშირში შესვლაზეც ხომ არ უნდა დავფიქრდეთ?

— პრემიერმა სწორად აღნიშნა — ჯერ ევრაზიული კავშირის შექმნის პროცესს უნდა დავაკვირდეთ. კოალიციას საკმაოდ მყარად დაფიქსირებული პროდასავლური ორიენტაცია აქვს, თუმცა ქვეყნისთვის მომგებიან წინადადებებზე უარი არ უნდა ვთქვათ. ევროპის ბევრი სახელმწიფო ევროკავშირში არაა, თუმცა ევროპული ოჯახის სრულუფლებიან წევრად გრძნობს თავს. რატომ არ შეიძლება, საქართველოც იგივე მდგომარეობაში აღმოჩნდეს? თუმცა ამ ყველაფერზე საუბარი, ამ ეტაპზე, ნაადრევია, რადგან ძირითად გამოწვევად ეკონომიკის განვითარება რჩება.

ექვსმა მედიასაშუალებამ მედიასინდიკატი დააფუძნა

რუსუდან შელია
557-100-768

გაზეთები: „ვერსია“, „პრაიმ-ტაიმი“, „სვაბოდნაია გრუზია“, „ჯორჯიან თაიმსი“; ჟურნალი „თბილისელები“ და მედიასახლი „ობიექტივი“ — ეს ის ექვსი მედიასაშუალებაა, რომლებმაც 24 სექტემბერს მედიასინდიკატი დააფუძნეს. მედიასინდიკატის მთავარი მიზნებია: სარეკლამო ბაზრის მონოპოლიზების პირობებში, მრავალკომპონენტიანი სარეკლამო მომსახურების დანერგვა, საგამოძიებო ჟურნალისტიკის ერთობლივი ჯგუფის შექმნა, აქტუალურ თემებზე მედიასინდიკატის პოზიციის დაფიქსირება, ქართული მედიასივრცისა და სარეკლამო ბაზრის კვლევა და ერთობლივი საინფორმაციო სივრცის შექმნის მიზნით ეტაპობრივი მუშაობა. „სინდიკატის“ საქმიანობას კოორდინირებას დირექტორთა საბჭო გაუწევს, რომელიც მასში გაერთიანებული საინფორმაციო საშუალებების ხელმძღვანელებით დაკომპლექტდება.

„ობიექტივის“ ერთ-ერთი დამფუძნებლის, **თეა ნადირაძის** განცხადებით, ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, ვითარება მედიაბაზარზე არ შეცვლილა და მოლოდინიც არ გამართლდა: **„მედიის წარმომადგენლებს გვქონდა მოლოდინი, რომ პირველი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ამ მიმართულებით რეალური ცვლილებები განხორციელდებოდა. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. განსაკუთრებით, რთული ვითარებაა სარეკლამო დაკვეთების კუთხით, ამიტომ მიგვაჩნია, რომ მსგავსი ტიპის გაერთიანების შექმნა აუცილებელია“.**

„ჯორჯიან თაიმსის“ დამფუძნებლის, **მალხაზ გულაშვილის** განცხადებით, მედიასივრცეში არსებული მანკიერებებისა და მონოპოლიზებული სარეკლამო სივრცის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლაა საჭირო: **„მედიასინდიკატის შექმნით ქართულ მედიასივრცეში უპრეცედენტო შემთხვევა ფიქსირდება. ბოლო პერიოდში ამ კონკრეტულ სფეროში ბევრი მანკიერი მოვლენა გამოაშკარავდა, რასაც ერთობლივად დავუპირისპირდებით. დღეს, მონოპოლიზებულია სარეკლამო მედიასივრცე და გაზეთების გავრცელების პრობლემაც არსებობს; ამიტომ სინდიკატის ფარგლებში ჩამოყალიბდება სადისკუსიო სივრცე, სადაც პრობლემების გადაჭრის გზებზეც ვისაუბრებთ და პარალელურად, აქტიურ თემებზე ჟურნალისტურ გამოძიებებსაც მოვამზადებთ“.**

„სვობოდნაია გრუზიას“ მთავარმა რედაქტორმა, **ტატო ლასხიშვილმა** განმარტა, რომ მედიასინდიკატში გაერთიანება ერთობლივ სტრუქტურად ჩამოყალიბებას არ ნიშნავს: **„ექვსი მედიასაშუალების გაერთიანება მექანიკურად არ მომხდარა. ოთხი თვეა, კოლეგებთან ერთად კონცეფციას ვაყალიბებთ. სამწუხაროდ, დღეს მედიაშემოსავლების მნიშვნელოვანი ნაკადის რეგულაცია სხვადასხვა ჯგუფის მიერ განისაზღვრება, მედიასინდიკატის შექმნა კი შესაძლებლობას მოგვცემს, მრავალფეროვანი პროდუქტი შევქმნათ. ფაქტია, მედიის წარმომადგენლებს ქრონიკულად მოუწესრიგებელ გარემოში გვიწევს მუშაობა, რადგან მედიაბაზარი მონოპოლიზებულია. ეს არასწორი ქმედებაა და მედიის განვითარებას ხელს ვერ შეუწყობს, ამიტომ მედიამენეჯერებმა ერთობლივი თამაშის წესები უნდა შეიმუშაონ. ჩვენი გაერთიანება სულაც არ ნიშნავს, რომ ერთ სტრუქტურად ვყალიბდებით — სუბიექტები სარედაქციო დამოუკიდებლობას ინარჩუნებენ, უბრალოდ, ამ ფორმით ჩამოყალიბებული მედიასინდიკატი ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებსგარეთ, ჩვენ სამუშაო არეალს გაზრდის. მჯერა, პროექტი წარმატებით განხორციელდება“.**

„ნაციონალური მოძრაობა სახელისუფლო პარტიის სინდრომისგან უნდა გათავისუფლდეს“

რას ურჩევს სააკაშვილსა და მის პარტიას და რაში ადანაშაულებს ივანიშვილის გუნდს ექსპერტი მიხეილ თავხელიძე

რუსუდან შელია
557-100-768

ამბობს, რომ საქართველოში შექმნილი არასტაბილური პოლიტიკური ვითარების ფონზე, ქვეყანა დასავლურ კურსზე უკვე ღიად ამბობს უარს და რუსეთთან დაახლოებას ცდილობს. ამის მაგალითად ბიძინა ივანიშვილის მიერ ფრანგული გამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუს ასახელებს, სადაც პრემიერი 50 წუთის განმავლობაში მხოლოდ რუსეთზე საუბრობს. ექსპერტი მიხეილ თავხელიძე „ვერსიასთან“ პოლიტიკურ ასპარეზზე მიმდინარე ბატალიებს აფასებს.

— ქვეყანაში არასტაბილური პოლიტიკური პროცესები მიმდინარეობს. გაურკვეველია საქართველოს მომავალი, მით უმეტეს, იმ ფონზე, როცა ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან წასვლას გეგმავს და, როგორც თავად აცხადებს, სამოქალაქო სექტორში გადადის. რას გააკეთებს პრემიერი თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ ან ვის ტოვებს მის შემცვლელად, საზოგადოებისთვის აბსოლუტურად გაუგებარია, რაც ქვეყანაში ქაოტურ მდგომარეობას ქმნის.

— ბიძინა ივანიშვილი სამოქალაქო სექტორში გადადის, ხელისუფლებას კი მრავალპარტიული კოალიცია უხელმძღვანელებს — რატომ არის თქვენთვის ეს პრინციპი მიუღებელი, მხოლოდ ერთ ადამიანზე დამოკიდებული მმართველობის მომხრე ხართ?

— რა აკავშირებს კოალიციის იდეოლოგიურად განსხვავებულ სუბიექტებს? — მხოლოდ ფული და ნაციონალური მოძრაობის მიმართ წლების განმავლობაში დაგროვილი ბოღმა. ბუნებრივია, კარგია, როცა ქვეყანას გუნდი მართავს და არა ერთი ბელადი, მაგრამ ამ ორი მიზეზით გაერთიანებული ერთობა გუნდურად ვერ იმუშავებს, მით უმეტეს, მიხეილ სააკაშვილი 27 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ პრეზიდენტის თანამდებობას დატოვებს და, შესაძლოა, პოლიტიკიდანაც წავიდეს. ამის შემდეგ რა საერთოს მოძებნიან ერთმანეთთან „ოცნების“ ლიდერები, არ ვიცი.

— ანუ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, კოალიცია დაიშლება?

— არა მგონია, კოალიცია ასე მარტივად შეელიოს ხელისუფლებას და, შესაბამისად, დაშლას, ამ ეტაპზე, არ ვვარაუდობ, თუმცა ეს პროცესი, საბოლოოდ, მაინც გარდაუვალია. გიორგი მარგველაშვილს კი, როგორც ჩანს, იმაზე მეტი წარმოდგენა აქვს თავსა და საპრეზიდენტო სავარძელზე, ვიდრე ამას კანონმდებლობა ითვალისწინებს — ახალი კონსტიტუციის მიხედვით, ქვეყნის მომავალი პრეზიდენტი მხოლოდ სიმბოლური ფიგურა იქნება. ახლა, წინასაარჩევნოდ, კიდევ ერთხელ ატყუებენ საზოგადოებას, რომ 27 ოქტომბრის შემდეგ კოჰაბიტაცია დასრულდება და კოალიციაც გაცემული დაპირებების შესრულებას დაიწყებს. ერთი წლის განმავლობაში კარგად გამოჩნდა, „ოცნება“ რისი გამკეთებელია. სხვათა შორის, საკმაოდ დიდი შანსია, გიორგი მარგველაშვილი პრეზიდენტი ვერ გახდეს და არჩევნებში ხელისუფლების კანდიდატი დამარცხდეს.

— და ვინ გაიმარჯვებს — დავით ბაქრაძე, რომელსაც საზოგადოება ნაცმოძრაობის 9-წლიან მმართველობას ახსენებს თუ ნინო ბურჯანაძე, რომელიც პრორუსულ ძალად აღიქმება?

— ორივე საკმაოდ კონკურენტუნარიანი კანდიდატია... სხვათა შორის, ოქტომბრის არჩევნებში ნაციონალური მოძრაობის დამარცხებისა და გაუთავებელი სასამართლო პროცესების მიუხედავად, დავით ბაქრაძეს საკმაოდ მაღალი რეიტინგი აქვს და მას სტაბილური ამომრჩეველიც ჰყავს.

— და მაინც, რამდენია ეს სტაბილური ამომრჩეველი?

— არ მომერიდება და ვიტყვი, რომ დავით ბაქრაძეს 10%-იანი რეიტინგი აქვს. ვინმეს მოსწონს თუ არა, ნაციონალური მოძრაობა საქართველოში ყველაზე დიდი პარტიაა. ბუნებრივია, ის ამომრჩეველი, რომელიც ამ პარტიის მმართველობამ გაანაწყენა, დღეს დავით ბაქრაძეს არ მისცემს ხმას, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ამ ადამიანებს ილუზია „ქართულმა ოცნებამაც“ დაუმსხვრია — ხელისუფლებაში ისევ ძველ სახეებს ვხედავთ, რომლებიც სკოლებთან პრეზერვატივების გაყიდვის აკრძალვის საკითხზე უამრავ დროს ხარჯავენ, ძირითადი დაპირებების შესრულება კი დიდად არ აღელვებთ. ნინო ბურჯანაძის პროგრამასა და, მით უმეტეს, მის იდეოლოგიასთან საერთო არაფერი მაქვს, მაგრამ ფაქტია, რომ „ქართული ოცნების“ უმოქმედობის ფონზე, ის ანგარიშგასაწევი ძალა გახდა.

— დავაზუსტოთ — ექსპერტი, რომელიც ნაციონალურ მოძრაობას მხარს ღიად უჭერს, დღეს ნინო ბურჯანაძის გამარჯვების მომხრეა?

— ჩემთვის სულ ერთია, ვინ გაიმარჯვებს, მთავარია, ბიძინა ივანიშვილის პირადი მეგობარი და სახელისუფლო კანდიდატი საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხდეს. ესაა პოლიტიკური სურვილი, რომელიც ქვეყანას ქაოსიდან გამოიყვანს.

— თუ მხოლოდ ასე გაუჩნდება ნაციონალურ მოძრაობას ხელისუფლებაში დაბრუნების შანსი?

— არა მგონია, იმაზე მეტი პოლიტიკური ქაოსი მივიღოთ, როგორშიც ახლა ვცხოვრობთ. ნაციონალურ მოძრაობას კი ხელისუფლებაში დაბრუნების რეალური შანსი მართლაც აქვს, თუ პარტიაში გარკვეული რეორგანიზაცია ჩატარდება.

— ანუ სააკაშვილის პარტიაში ლიდერებია შესაცვლელი ?

> **— არა, პირველ რიგში, ნაციონალური მოძრაობა, სახელისუფლო პარტიის სინდრომისგან უნდა გათავისუფლდეს. ფაქტია, რომ მათ ოპოზიციაში ყოფნა ჯერ კიდევ უჭირთ, ასევე აუცილებელია იდეოლოგიური ხედვების გადახედვა და ახლებურად ჩამოყალიბება. რაც შეეხება ლიდერების ცვლილებას, ეს თავად პარტიის წევრებმა უნდა გადაწყვიტონ, თუმცა პირადად მე, მიმაჩნია, რომ პოლიტიკიდან პოლიტიკური კარიერის ზენიტში მყოფი მიხეილ სააკაშვილის წასვლა დიდი შეცდომა იქნება. თუ ამ ყველაფერს ნაციონალურ მოძრაობაში გააანალიზებენ, საკმაოდ დიდი შანსია, ხელისუფლებაში მალევე დაბრუნდნენ, თუმცა აქვე იმასაც ვიტყვი, რომ ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები საქართველოში ბოლო დემოკრატიულ არჩევნებად მესახება.**

— რატომ, საპრეზიდენტო არჩევნები გაყალბდება?

— საპრეზიდენტო არჩევნებს ბიძინა ივანიშვილისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, რადგან ასეა თუ ისე, მისი რეიტინგი კანდიდატზე ჯერ კიდევ მოქმედებს. უბრალოდ, დღევანდელი ხელისუფლების ქმედებებიდან გამომდინარე, არა მგონია, მომავალი, თუნდაც თვითმმართველობის არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდეს. რომელ დემოკრატიაზე უნდა ვისაუბროთ, როცა ხელისუფლების პირველი პირისთვის საოცნებო სახელმწიფოს რუსეთი წარმოადგენს და ქვეყანაც ნელ-ნელა ჩრდილოეთისკენ მიდის?!

— ხელისუფლების მიერ ოფიციალურად დეკლარირებული კურსი გავიწყდებათ.

— მარტივ მაგალითს გეტყვით, რომ მიხვდეთ, რა საგარეო კურსი აქვს საქართველოს: ბიძინა ივანიშვილმა ერთ-ერთ სოლიდურ ფრანგულ გამოცემას ინტერვიუ მისცა, სადაც ჟურნალისტი ყვება, რომ ბიძინა ივანიშვილს 50 წუთის განმავლობაში არც ერთხელ უხსენებია ნატო, ევროკავშირი, დასავლური მხარდაჭერის აუცილებლობა, სამაგიეროდ, რუსეთზე საუბარი არ დაეზარა და ჩრდილოელ მეზობელთან დაახლოების მოწოდებები არ შეუწყვეტია. გავიხსენოთ, ბიძინა ივანიშვილის განცხადება ევრაზიულ კავშირში შესვლასთან დაკავშირებითაც. ისიც ფაქტია, რომ უკვე ერთი წელი სრულდება, რაც საქართველოში ხელისუფლება შეიცვალა და ბიძინა ივანიშვილი პრემიერის პოსტს იკავებს, თუმცა იგი ჯერ კიდევ არ ყოფილა ოფიციალური ვიზიტით ვაშინგტონში.

— მაგრამ არც მოსკოვში ჩასულა.

— მოსკოვში ჩასვლის სურვილი აქვს, თუმცა, როგორც ჩანს, ბიძინა ივანიშვილისთვის პოლიტიკურად გარკვეული საკითხები ჯერ კიდევ მოუგვარებელია.

სქემა, რომლითაც ქართველმა თაღლითებმა ამერიკელი ცოლ-ქმარი „გადაგდეს“

მაია მიშელაძე
593-51-90-12

„ახლა ვერ ჩამოვალ საქართველოში იმ ფინანსური კრიზისის გამო, რომელიც ჩვენს ოჯახს შენს გამო შეექმნა. როგორც ადრე გითხარი, თანხა — 400 000 აშშ დოლარი, რომელიც გადმოგირიცხე, მოგეცი მხოლოდ ლექსოს ოჯახის რეკომენდაციით. ეს ფული გამოიმუშავა ბაბუაჩემის, მამაჩემის, დედაჩემისა და ჩემმა ოჯახმა, მსოფლიო დეპრესიის დროს, ხანგრძლივი დროისა და უკიდურესად მძიმე შრომის შედეგად. შენ ჩააყენე ჩემი ოჯახი უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში, მე მჭირდება ეს ფული სასწრაფოდ! საქართველოს რეკლამებში აშშ-ში, ხშირად ვისმენდი: დააბანდეთ ფული საქართველოში! დააბანდეთ საქართველოში! ის, რასაც შენ აკეთებ ჩემს ოჯახთან მიმართებაში და მთელი შენი ქცევა, სამარცხვინოა არა მხოლოდ ქართველებისთვის, არამედ — მთელი საქართველოსთვის!“ — ამ წერილის ავტორი ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე, ბენჯამენ ჩარლზ რიტერია, ცნობილი ავიაკონსტრუქტორის, ალექსანდრე ქართველიშვილის კოლეგის, ბენჯამენ რიტერის შვილი. ქართველიშვილმა და უფროსმა რიტერმა, ერთობლივად შექმნეს თვითმფრინავი P — 47 REPUBLIC THUNDERBOLT, რომელმაც მეორე მსოფლიო ომის მსვლელობაში დიდი გარდატეხა შეიტანა. ახლა კი ქართველი თაღლითების „გმირობის“ შედეგად, ლეგენდარული ავიაკონსტრუქტორის, ჩარლზ რიტერის ოჯახი ამერიკაში უსახლკაროდ რჩება. საქართველოში დაბანდებული ფული, მათი სახლის სესხის დასაფარი თანხა იყო, ქართველმა „მეგობრებმა“ კი, ამერიკელი ცოლ-ქმრის ნდობით ბოროტად ისარგებლეს.



თავდების განცხადება

ქ. თბილისი — 11 თებერვალი 2013წ.

მე, დიმიტრი კოსტ... კოდექსის 895-ე მუხლ... 205256426)-სთან ერთა... რიტერთან და ნინა ჭა... სესხის ხელშეკრულებ... ოდენობით 400 000 (ო...

თავდები

განცხადება

ქ. თბილისი — 11 თებერვალი, 2013წ

მე, დიმიტრი კოსტაროვი, (პირადი № 01008020145) ვკისრულობ ვალდებულებას შპს აგროგეოს მიერ 2010 წლის 8 ოქტომბერს გაფორმებული სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ბენჯამინ ჩარლს რიტერის და ნინა ჭანტურია რიტრის წინაშე შეუსრულებლობის შემთვევაში იპოთეკით დავტვირთო ჩემი კუთვნილი ქონება მდებარე თეთრიწყარო, დაბა მანგლისი, საკადასტრო კოდი 84.18.40.157.

დიმიტრი კოსტაროვი



ქ. თბილისი — **თავდების განცხადება** — 11 თებერვალი 2...

მე, ირინა დანილენკო (პირადი №01008006404) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 895-ე მუხლის შესაბამისად, შპს აგროგეო (საიდენტიფიკაციო კოდი 205256426)-სთან ერთად ვკისრულობ სოლიდარულ პასუხისმგებლობას შვეიცარელი ბენჯამინ ჩარლზ რიტერთან და ნინა ჭანტურია რიტერთან 2010 წლის 8 ოქტომბერს გაფორმებული სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული გაღებულ ვალდებულებები, ზღვრული ოდენობით 400 000 (ოთხასი ათასი) აშშ დოლარი.

თავდები — ირინა დანილენკო

განცხადება — 11 თებერვალი, 2013წ

...ენკო (პირადი №01008006404) ვკისრულობ ვალდებულებას შპს აგროგეოს მიერ ...ოქტომბერს გაფორმებული სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ...ს რიტერის და ნინა ჭანტურია რიტრის წინაშე შეუსრულებლობის შემთვევაში ...ას სახით დავაგიარეო ჩემი კუთვნილი შპს აგრო გეო + -ში (საიდენტიფიკაციო ...37) არსებული 30%-იანი წილი.

ირინა დანილენკო

ლეგენდარული ავიაკონსტრუქტორის, ალექსანდრე ქართველიშვილის ამერიკელი პარტნიორის, ჩარლზ რიტერის ოჯახი უსახლკაროდ რჩება

ეს ისტორია 2010 წლის შემოდგომით დაიწყო, როდესაც საქართველოს ეკონომიკური წინსვლითა და მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შესახებ ცნობებით მოხიბლულმა ამერიკელმა ცოლ-ქმარმა, ბენჯამენ ჩარლზ რიტერმა და ნინა ჭანტურია-რიტერმა, დიდძალი თანხა — 400 000 აშშ დოლარი, ქართველ მეგობრებს მიანდო. სინამდვილეში, ქართველ ქალბატონს, ნინა ჭანტურია-რიტერს, ამ ისტორიის ერთ-ერთ მონაწილესთან 30-წლიანი მეგობრობა აკავშირებდა. ლექსო უთარაშვილისა და ნინა ჭანტურიას ოჯახები თბილისში, კარის მეზობლები იყვნენ და მათი შვილები ერთად იზრდებოდნენ. 2010 წლის სექტემბერში, ლექსო უთარაშვილმა თავის ქართველ-ამერიკელ მეგობარს, ნინა ჭანტურია-რიტერს ურჩია, მისთვის და მისი ცოლის ძმიშვილისთვის, დიმიტრი კოსტაროვისთვის ფული ესესხებინა, რათა ამ უკანასკნელს საკუთარი ბიზნესი გაეფართოებინა იმ კომპანიაში, სადაც თავად ლექსო უთარაშვილიც მუშაობდა და დაინტერესებული იყო კომპანიიდან შემოსავლების მიღებით. ქართულ ყოფას გადაჩვეული ქალბატონი საქართველოში ფულის დაბანდების საშუალებებს ეძებდა და დიდი ხნის მეგობრის შემოთავაზება სრულიად საიმედო დაბანდებად ჩათვალა.

დიმიტრი კოსტაროვი, რომელიც წარმატებულ ბიზნესმენად და სანდო ადამიანად დაუხასიათეს, სტაბილურ ბიზნეს-კომპანია „აგროგეოს“ ფლობდა. ლექსო უთარაშვილმა ამერიკელ მეგობრებს ფულის გადარიცხვა დააჩქარებინა, საკუთარ თავზე აიღო პასუხისმგებლობა და მეგობრის კითხვაზე, იქნებ იურისტი დახმარებოდათ, უპასუხა, საჭირო არ არისო. მიამიტმა ამერიკელებმა კომპანია „აგროგეოს“ ანგარიშზე 400 000 აშშ დოლარი 2010 წლის 7 ოქტომბერს გადარიცხეს. 2 წლის განმავლობაში, მსესხებელი, მეტ-ნაკლებად, ზუსტად ასრულებდა შეთანხმებას, ხან დროულად და ხან დაგვიანებით. ამ ორი წლის განმავლობაში, ლექსო უთარაშვილი „აგროგეოს“ საწყობში მუშაობდა და მეგობარს, ნინა ჭანტურია-რიტერს არწმუნებდა, რომ კომპანიას ყველაფერი წესრიგში ჰქონდა. ამავდროულად, მადლობის ნიშნად, ამერიკელი მეგობრები მას წელიწადში 1 000 აშშ დოლარს უხდიდნენ.

ორი წლის თავზე, „აგროგეომ“ პროცენტისა და სესხის გასტუმრება მოულოდნელად შეწყვიტა, ლექსო უთარაშვილმა საწყობი მაშინვე დატოვა და სამსახურიდან წავიდა. მისი ცოლის ძმიშვილმა, დიმიტრი კოსტაროვმა, საქართველოში ამბის გასაგებად ჩამოსულ გამსესხებელს, ნინა ჭანტურია-რიტერს ისიც კი უთხრა, ბიძაჩემმა საწყობიდან 500 000 აშშ დოლარის საქონელი მომპარაო. ნინა ჭანტურია-რიტერი „ვერსიასთან“ საუბრისას ლოგიკურ კითხვას სვამს — საინტერესოა, დიმიტრი კოსტაროვს რომელიმე კომერციული ბანკისგან რომ ესესხებინა ეს თანხა, როგორ მოიქცეოდა? ამერიკის მოქალაქე ქართველ ქალბატონს დღევანდელი გადასახედიდან მიაჩნია, რომ არც ერთი კომერციული ბანკი, კოსტაროვს ამ რაოდენობის თანხას არ ანდობდა.

დიმიტრი კოსტაროვის ბიზნესპარტნიორმა და წარმომადგენელმა დავით სალაძემ, რომელიც ამერიკელ კრედიტორთან მისი სახელით აწარმოებდა მოლაპარაკებას, ისიც კი თქვა, კოსტაროვს არაფერი აქვს და რა მოგცეთო. მეორე პარტნიორმა, ვასილ ცხაკაიამ კი განაცხადა, კიდევ კარგი, ხალხი ვართ, რომ საერთოდ გელაპარაკებით, თორემ საქართველოში, სხვა არც ფულს დაგიბრუნებდათ და არც კი მოგისმენდათო.

ნინა ჭანტურია-რიტერმა „ვერსიას“ ისიც განუცხადა, რომ დიმიტრი კოსტაროვი თბილისის ცენტრში, თამარაშვილის ქუჩაზე, ახლადაშენებული სახლის 4-ოთახიან ბინაში ცხოვრობს, მამამისს კი იგივე სახლში 3-ოთახიანი ბინა აქვს, კოსტაროვი ერთადერთი შვილია, რომელიც ქალაქგარეთ აგარაკსაც ფლობს და კახეთში, ათეულობით ჰექტარ საუკეთესო მიწის ნაკვეთებსაც, რომელიც მამის სახელზე აქვს გაფორმებული, რათა ვალდებულების შესრულებას თავი აარიდოს. მიუხედავად ამისა, დიმიტრი კოსტაროვი დარღვეულ ვალდებულებებს არად აგდებს და აცხადებს, რომ მიწები მამის საკუთრებაა და არა მისი.

ნინა ჭანტურია-რიტერი ერთ საგულისხმო ფაქტს უსვამს ხაზს, დიმიტრი კოსტაროვის მამამ, ალექსანდრე კოსტაროვმა, იმ წლებში „შეიძინა“ ჰექტრობით მიწის ნაკვეთები კახეთში, როდესაც მისი შემოსავალი საკმაოდ სავალალოდ გამოიყურებოდა; თუმცა ადვილი მისახვედრია, თუ ვისი შეძენილია ეს ნაკვეთები, რა თანხებით და რატომ გაფორმდა მიწის ნაკვეთები დიმიტრი კოსტაროვის მამის სახელზე. ლექსო უთარაშვილიც, რომელიც ამერიკელი ცოლ-ქმრის ნდობით აღჭურვილი პირი იყო და რომლის რეკომენდაციის გარეშე, ისინი ასეთ დიდ თანხას ნამდვილად არავის ანდობდნენ, დღეს განზე გადგა. მოკლედ, თაღლითობის კლასიკური ისტორია გათამაშდა, რადგან საქართველოს „ჭკვიანმა“ მოქალაქეებმა, ამერიკელი მეგობრების ნდობით ბოროტად ისარგებლეს და ახლა მათ „გადაგდებას“ ცდილობენ.

ნინა ჭანტურია-რიტერი უახლოეს დღეებში საჩივარს პროკურატურაში შეიტანს. მართლმსაჯულების იმედი აქვს, სჯერა, რომ თაღლითებს საკადრისად დასჯიან და კუთვნილ თანხას დაიბრუნებს. დეტალების დასაზუსტებლად „ვერსია“ **ნინა ჭანტურია-რიტერს** დაუკავშირდა.

— ქალბატონო ნინა, როდესაც ლექსო უთარაშვილმა შემოგთავაზათ, რომ 400 000 აშშ დოლარი დიმიტრი კოსტაროვისთვის გესესხებინათ, სესხი ნოტარიულად დაამოწმეთ?

— ლექსო უთარაშვილთან იმდენად ახლო მეგობრობა აკავშირებდა ჩემს ოჯახს, რომ ბავშვებიც ერთად იზრდებოდნენ და მის შვილებს 5 წლიდან ინგლისურში ვამზადებდი, ამიტომ არ მიფიქრია, სესხი ნოტარიულად დამემოწმებინა. თავდაპირველად, ვუთხარი, ხელშეკრულების გარეშე, თანხას ვერ გადმოვაგზავნი-თქო, მაგრამ ლექსომ დამამშვიდა, ნუ გეშინიაო. იმდენად ვენდობოდით, რომ ჯერ თანხა გადმოვგზავნეთ და ხელშეკრულების გაფორმება მერე დავავალეთ ლექსო უთარაშვილს, რის გამოც მასზე გავეცით ნოტარიული მინდობილობა, რომ გაეფორმებინა სესხის ხელშეკრულება. ჩემი მეუღლე სამჯერ არის საქართველოში ნამყოფი, რომელიც ჩვენი სტუმარ-მასპინძლობით მოიხიბლა, ისიც კარგად იცნობდა ლექსო უთარაშვილს, რომელმაც უსინდისოდ მოგვატყუა. სესხი გააფორმა არა თავის თავზე და თავისი ცოლის ძმისშვილზე დიმიტრი კოსტაროვზე, არამედ — წინაწარ დაგეგმილი სქემით, მოგვატყუეს და მიგვითითეს, რომ კომპანიის სახელზე უნდა გადაგვერიცხა თანხა. სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება ალექსანდრე (ლექსო) უთარაშვილსა და დიმიტრი კოსტაროვს შორის გაფორმებულა 2011 წლის 6 იანვარს, საჯარო რეესტრში, რომელიც არ დარეგისტრირდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ლექსომ არ გაგვაგებინა, რა დოკუმენტები მოსთხოვეს რეესტრში. შესაბამისად, სესხი იპოთეკის გარეშე დარჩა, სამაგიეროდ, დიმიტრი კოსტაროვის ბინა ჩვენი სესხისგან თავისუფალია.

— რას აწარმოებს „აგროგეო“?

— ამ კომპანიას სასუქები და შხამ-ქიმიკატები შემოაქვს, რომელიც დიმიტრი კოსტაროვმა დააფუძნა. ახლა ამბობენ, რომ „აგროგეოს“ ვალი აქვს, მაგრამ ეს ჩვენი პრობლემა არ არის. 400 000 აშშ დოლარი სესხი იყო, ეს ბიზნესში ჩადებული თანხა არ ყოფილა და რა პრობლემაც უნდა შექმნოდა კომპანიას, ჩვენთვის ეს ვალი უნდა გაესტუმრებინა. ეს ყველაფერი მხარეთა შორის და მათ მომზადებულ ხელშეკრულებებშიცაა ჩადებული.

— ხელშეკრულება გაფორმდა, რის საფუძველზეც 400 000 აშშ დოლარი გადაურიცხეთ „აგროგეოს“, კომპანიაში კი თქვენი წარმომადგენელი ლექსო უთარაშვილი იყო?

— ჩვენ სესხი არ გაგვიცია კომპანიაზე, თავიდან არ გვქონია ამ გარემოებაზე მოლაპარაკება, ჩვენ სესხი გავეცით ლექსოზე და დიმიტრი კოსტაროვზე. უბრალოდ, მათ რაც მიგვითითეს, იმ ანგარიშზე გადმოვრიცხეთ თანხები, რაც არ ნიშნავს, რომ სესხის ხელშეკრულებაზე ვიყავით თანახმა კომპანიასთან. ლექსო უთარაშვილი იყო სესხის დაბრუნებაზე გარანტორი და ამდენად, ის მუშაობდა კიდეც ამ კომპანიაში. ლექსო უთარაშვილს 1 000 აშშ დოლარსაც ვუხდიდით, რათა კომპანიაში ჩვენი, როგორც თანხის გამსესხებლების ინტერესები დაეცვა. გიმეორებთ, ამ კომპანიაში ბიზნესინტერესები არ გვქონია, მხოლოდ სესხი გავეცით.

— როგორ უნდა დაეფარა კოსტაროვს თქვენი სესხი?

— თვეში ერთხელ პროცენტი უნდა გადაეხადა... როგორც ვიცით, კოსტაროვი საკუთარ ბიზნესს აფართოებდა და იმის გამო, რომ ერთ წელიწადში სესხი ვერ დაფარა, ხელშეკრულება მომდევნო წელსაც გააგრძელა. მესამე წელს კი გვთხოვა, 1 000 აშშ დოლარი დაგვეკლო, რა თქმა უნდა, დავუკელით. მე და ჩემმა მეუღლემ გადავწყვიტეთ, ერთი წლით კიდევ გაგვეგრძელებინა ხელშეკრულება, მაგრამ მოულოდნელად, 2013 წლის დეკემბერში, კოსტაროვმა თანხის გადახდა შეწყვიტა, მოგვწერა, რომ პროცენტს აღარ გადაიხდიდა. ეს ჩვენთვის საგანგაშო იყო, რადგან ამ პროცენტის შემოსავლით ვცხოვრობდით. 2010 წელს, ამერიკის ეკონომიკური განვითარება შეფერხდა, ბანკში 1 500 000 აშშ დოლარი გვქონდა და აშშ-ში განვითარებული ეკონომიკური რეცესიის ფონზე, ბანკში არსებული თანხა მხოლოდ 600 000 აშშ დოლარზე დავიდა. დიმიტრი კოსტაროვი კი დღემდე გვეუბნება, რომ თანხას გადაიხდის, ამის დამადასტურებელი წერილებიც გვაქვს, სამწუხაროდ, ბოლო დროს საერთოდ აღარ გვეხმიანება.

— დიმიტრი კოსტაროვის „აგროგეო“ ახლა ფუნქციონირებს?

— დიახ, მაგრამ თუ არ ვცდები, კომპანიიდან წამოვიდა და მხოლოდ მის მეუღლეს დარჩა 30%-იანი წილი. სამწუხაროდ, ეს ადამიანები თაღლითები არიან, რადგან კოსტაროვის მამა დიდი რაოდენობით მიწის ნაკვეთებს ფლობს კახეთში და ეს მიწები მაშინ შეიძინა, როდესაც დიმიტრი კოსტაროვს ჩვენთვის გადასახდელი თანხები არ მოეძებნება. მხოლოდ მინიმუმს ვთხოვდით, ზუსტად ვიცი, რომ მისი ქონება იპოთეკითაა დატვირთული, ჩვენ ვთავაზობდით, მეორადი იპოთეკით დაეტვირთა ქონება, თანდათან კი ჩვენი სესხის გასტუმრებას შეძლებდა, მაგრამ ამაზეც უარი გვითხრა. კოსტაროვი თაღლითობს, რადგან ამ თანხის დაბრუნება არ უნდა.

— პროკურატურაში საჩივარი უკვე შეიტანეთ?

— ჯერ თქვენ მოგმართეთ, მაგრამ საჩივარს აუცილებლად შევიტანთ. მინდა, ამ თაღლითების წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრას და კუთვნილი თანხა დავიბრუნოთ. უნდა დაისაჯონ და კანონის წინაშე პასუხი აგონ. ვამაყობდი, რომ ქართველი ვარ, მაგრამ ახლა ვერაფერს ვამბობ, მრცხვენია.

სახელმწიფო ენერგოსისტემის ბაზაზე სასწავლო ცენტრი გაიხსნა

„საქართველოს სახელმწიფო ენერგოსისტემის“ (სსე) ნავთლუღის ქვესადგურში სასწავლო ცენტრი გაიხსნა — ეს უნიკალური მოვლენაა საქართველოს ელქტროსისტემაში. სასწავლო ცენტრში, ტექნიკური პროფილის ინსტიტუტებთან თანამშრომლობის საფუძველზე, ენერგეტიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულებს საშუალება აქვთ, ისწავლონ, აიმაღლონ კვალიფიკაცია და წარჩინებულ კურსდამთავრებულებს, სსე დასაქმების გარანტიას აძლევს. სასწავლო ცენტრში სტუდენტებს ლექციებს გამოცდილი ენერგეტიკოსები წაუკითხავენ; ცენტრში მოქმედებს სასწავლო პოლიგონი, მოწყობილია თანამედროვე ლაბორატორია, სტუდენტებს საშუალება აქვთ, ისწავლონ თანამედროვე დანადგარების მართვა, ჩართვა-გამორთვა, აწყობა და დამონტაჟება. სასწავლო ცენტრში, სტუდენტების გარდა, ტრენინგები ჩაუტარდებათ თავად სსე-ს თანამშრომლებს. „სამუშაო გარემო მაქსიმალურადაა მიახლოებული იმ რეალურ გარემოს, სადაც კურსდამთავრებულებს მოუწევთ შემდგომში მუშაობა. ეს კი, პრაქტიკულ მეცადინეობებზე ელექტრომოწყობილობების აგებულების, ფუნქციებისა და მართვის სწავლებას უფრო თვალსაჩინოს გახდის და მნიშვნელოვნად გააადვილებს სწავლების პროცესს“, — განაცხადა სასწავლო ცენტრის გახსნისას „საქართველოს სახელმწიფო ენერგოსისტემის“ გენერალურმა დირექტორმა, სულხან ზუმბურიძემ. სასწავლო ცენტრის გახსნას დაესწრნენ ენერგეტიკის მინისტრი კახი კალაძე და განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე. მათ, სხვა სტუმრებთან ერთად, დაათვალიერეს სასწავლო პოლიგონი, აუდიტორია და ლაბორატორია. აღსანიშნავია, რომ ორივე მინისტრმა უმაღლესი შეფასება მისცა სასწავლო ცენტრს და ხაზი გაუსვა მის უმნიშვნელოვანეს როლს საქართველოს ენერგოსისტემაში.

სასწავლო ცენტრის შესახებ უფრო დეტალურად „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ადამიანური რესურსების მართვისა და ორგანიზაციული განვითარების აღმასრულებელი მენეჯერი მიხეილ ზიბზიბაძე გვიამბობს.

— ბატონო მიხეილ, თუ შეიძლება, უფრო დეტალურად გვიამბოთ სასწავლო ცენტრის შესახებ.

— ეს სასწავლო ცენტრი ადრეც არსებობდა, მაგრამ არ იყო კომპლექსურად თანამედროვედ მოწყობილი, დღეს კი, შეიძლება ითქვას, ის უკანასკნელი მოთხოვნების შესატყვისადაა მოწყობილი. ცენტრი 2 ნაწილისგან შედგება — ადმინისტრაციულ შენობაში სტუდენტებს წაუკითხავენ ლექციებს, იქვეა დარგობრივი ლაბორატორია და ბიბლიოთეკა. აქ სწავლის მსურველებს შეეძლებათ სრულფასოვანი თეორიული სწავლების გავლა. ცენტრის მეორე ნაწილი განთავსებულია ღია ცის ქვეშ — აქაა გამანაწილებელი და ძალოვანი მოწყობილობები, სადაც პრაქტიკულ მეცადინეობას გაივლიან სტუდენტები და ჩვენი კომპანიის თანამშრომლები.

სწავლების პრაქტიკული ნაწილი მაქსიმალურადაა მიახლოებული იმ პირობებთან, რომელშიც შემდგომში მოუწევთ მუშაობა ჩვენი სასწავლო ცენტრის კურსდამთავრებულებს. სასწავლო ცენტრში გვაქვს ძალოვანი ტრანსფორმატორი, დენისა და ძაბვის ტრანსფორმატორები. სტუდენტებს ამ მოწყობილობების ჩართვის, გამორთვის, დაშლა-აწყობის საშუალება ექნებათ, შესაძლებელია, ავარიული სიტუაციების იმიტირება და შემდეგ განმუხტვა; გარდა ამისა, ამ მოწყობილობებს სჭირდება დაცვა და მართვა, საამისოდ კი, მეორადი ტრენდები განვათავსეთ ჯიხურში, რომელიც მოწყობილობის ტერიტორიაზეა დამონტაჟებული — აქ სტუდენტები ისწავლიან, როგორ მართონ ეს მოწყობილობები და როგორ დაიცვან ისინი.

— რომელ უმაღლეს სასწავლებლებთან გაქვთ ხელშეკრულებები სტუდენტების გადამზადებაზე?

— საქართველოს ტექნიკურ, აგრარულ და ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტებთან. ამ უკანასკნელთან თანამშრომლობა მეტად მნიშვნელოვანია ჩვენთვის, რადგან „საქართველოს სახელმწიფო ენერგოსისტემას“ საქართველოს არაერთ რეგიონში აქვს ოფისები და მათი პროფესიონალი კადრებით დაკომპლექტება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. თბილისში ეს პრობლემა არ გვაწუხებს.

— თქვენს სასწავლო ცენტრში სწავლა უფასოა?

— რასაკვირველია... მეტიც — წარჩინებულები ჩვენს სისტემაში დასაქმდებიან. დღემდე, 50 კურსდამთავრებული დასაქმდა სსე-სა და სხვა კერძო ენერგეტიკულ კომპანიებში.

— თქვენი მომზადებული კადრები კერძო ენერგეტიკულ კომპანიებში რომ მიდიან სამუშაოდ, ეს არ გაზარალებთ?

— „საქართველოს სახელმწიფო ენერგოსისტემის“ ხელმძღვანელობას ნებისმიერ საკითხში მკაცრი სახელმწიფოებრივი მიდგომა აქვს. ჩვენ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ქვემდებარე სტრუქტურა ვართ და, შესაბამისად, მითითებებს, დაკვეთას სწორედ სამინისტროსგან ვიღებთ, ამიტომ უპირველესად, მათ უნდა გავუწიოთ ანგარიში. ცხადია, ჩვენს ინტერესებშია, წარმატებული კურსდამთავრებულები დარჩნენ და სსე-ში განაგრძონ მუშაობა, საამისოდ კი, საუკეთესო პირობებს ვთავაზობთ — ვცდილობთ, ვიყოთ კონკურენტუნარიანი, შევთავაზოთ ისეთი შრომითი კონტრაქტი, რომ სხვაგან წასვლის სურვილი არ გაუჩნდეთ... სხვა შეზღუდვა კი მათთვის არ არსებობს — რადგან ჩვენს სასწავლო ცენტრში აიმაღლეს კვალიფიკაცია, მაინცდამაინც სსე-ში მუშაობას არავის ვაძალებთ. არცთუ დიდი ხნის წინ, ჩვენი კურსდამთავრებულები „თელასსა“ და „ენერგოპრო-ჯორჯიაში“ დასაქმდნენ. ცხადია, ამას გაგებით მოვეკიდეთ, რადგან კერძო კომპანიებში რაც მეტი მაღალკვალიფიციური კადრი იმუშავებს, მით უფრო გამართული და უსაფრთხო იქნება საქართველოს ენერგოსისტემა. ეს კი, ჩვენი უპირველესი ინტერესია. ამდენად, იქ, სადაც სახელმწიფო ინტერესებია მთავარი, ვიწრო უწყებრივ ეგოიზმზე საუბარიც კი შეუძლებელია.

— რა დონისა და კატეგორიის სპეციალისტები ასწავლიან სტუდენტებს?

— სსე-ს საუკეთესო ინჟინრები ასწავლიან სტუდენტებს. სასწავლო ცენტრში ორი ჯგუფია: ელექტრო-ენერგეტიკული და მართვის სისტემების. პირველ ჯგუფში, ამჟამად, 17 მსმენელია, მეორეში — მხოლოდ 5. მართვის სისტემები, ესაა ახალი ტექნოლოგიები, რომლებიც გამოიყენება მოწყობილობებისა და ქვესადგურების სამართავად, ის მოგეხსენებათ, ნაკლებ ადამიანურ რესურსს მოითხოვს და ამიტომაცაა მართვის სისტემების ჯგუფი ასეთი მცირერიცხოვანი.

— რამდენ ხანს გრძელდება სწავლა თქვენს სასწავლო ცენტრში?

— სწავლა ერთწლიანია — ორი სემესტრი, რომელიც მოგაგონებთ ნამდვილ საუნივერსიტეტო სემესტრს, 14-კვირიანი სასესიო და საგამოცდო პერიოდით. მსმენელები აბარებენ თეორიას, პრაქტიკას, გვაქვს სილაბუსები, ყველაფერი დეტალურადაა გაწერილი — რამდენი საათი უნდა ჩაუტარდეთ პრაქტიკული მეცადინეობა და რამდენი დრო უნდა დაეთმოს თეორიას. სწავლა მაისში დასრულდება, ხოლო ვინც წარმატებით გაივლის სწავლების კურსს, მას აუცილებლად დავასაქმებთ. აქვე დავძენ, რომ თავად ჩვენი მსმენელების მოთხოვნით, დავამატეთ ინგლისურის სწავლება, თუმცა ამის გაკეთებას ისედაც ვაპირებდით. ინგლისური, განათლების მისაღები ენაა, ასევე სსე-ში ყველა საერთაშორისო პროექტი ინგლისურად მიმდინარეობს, კონტრაქტორები და დონორები ინგლისურად მეტყველებენ და ამდენად, ინგლისური ენის კვალიფიციური ცოდნა ჩვენი მსმენელებისთვის სავალდებულოა.

— თქვენი კურსდამთავრებულები ხომ, შესაძლოა, მომავალში მენეჯერები გახდნენ თქვენსავე კომპანიაში, მაშინ მათ დამოუკიდებლად მოუწევთ უცხოელ კონტრაქტორებსა და დონორებთან მუშაობა. ინგლისური ენის გარეშე კი, ამას ვერ შეძლებენ.

— მენეჯერები შესაძლოა გახდნენ კი არა, ჩვენი ცენტრის ორი კურსდამთავრებული ახლა ქვესადგურის უფროსია და შემდგომი კარიერული წინსვლის ჩინებული პერსპექტივა აქვს... მოკლედ, წარჩინებულებს არა მხოლოდ ვასაქმებთ, ყველანაირ პირობებს ვუქმნით, რომ წინ წავიდნენ და რაც შეიძლება მეტს მიაღწიონ.

— ბოლო წლებში ძველი ენერგეტიკოსები მუდამ იმას ჩიოდნენ, რომ საქართველოში ამ დარგის სპეციალისტთა დეფიციტია — ძველები წავლენ, დარჩება ცარიელი ადგილი და საქართველოს ელექტროსისტემა დაინგრევაო. შეიძლება ითქვას, სულზე მიუსწარით საკადრო წყვეტის საფრთხეს.

— გეთანხმებით, ძალიან ცუდი მდგომარეობა იყო... ამჟამადაც, ელქტროსისტემაში დასაქმებული სპეციალისტების საშუალო ასაკი 55 წელია, ასე რომ, საკადრო წყვეტა მალე მოხდებოდა და მართლაც, სულზე მისწრებასავით იყო ჩვენი ცენტრის გახსნა. ხომ გითხარით, საქართველოს ელექტროსისტემა უკვე 50 კვალიფიციური კადრით უზრუნველყავით ჯერ კიდევ წინა წლებში, რაცა ჩვენი ცენტრი ასეთი მაღალი დონის არ იყო. ცხადია, შემდგომში უფრო კვალიფიციურ სპეციალისტებს მოვამზადებთ.

გარდა სტუდენტებისა, ცენტრი ამზადებს ჩვენსავე თანამშრომლებს. წელიწადში ერთხელ, სსე-ს ყველა ინჟინერი და ელექტრიკოსი ვალდებულია, ტრენინგი გაიაროს. სწავლება 4 პუნქტისგან შედგება და მათ მხოლოდ ერთი კვირა — 5 სამუშაო დღე სჭირდებათ კვალიფიკაციის ასამაღლებლად. შემდგომი, ვინც წარმატებით გაივლის ტრენინგებს, მათ თანრიგი მოემატებათ. უფრო მაღალი თანრიგი, უფრო მაღალი კვალიფიკაციის დასტურია, რაც მათ ხელფასზე აისახება. ცხადია, მაღალთანრიგოსნებს კარიერული წინსვლის მეტი პერსპექტივაც ექნებათ.

— ვინ ხელმძღვანელობს სსე-ს სასწავლო ცენტრს?

— ცენტრის დირექტორია გიორგი ჭიღლაძე, რომელიც ამერიკაში მუშაობდა. მეტად გამოცდილი კადრია — მან აიოვას უნივერსიტეტში მიიღო სამეცნიერო და პედაგოგიური გამოცდილება.

კომპანია „სმაილი“ და ბანკი „რესპუბლიკა“ მომხმარებელს ერთობლივ აქციას სთავაზობენ

უპროცენტო განვადება უპრეცედენტო პირობებით

მაღაზიათა ქსელი „სმაილი“ და ბანკი „რესპუბლიკა“ საზოგადოებას განვადების ახალ აქციას სთავაზობენ. მომხმარებლებს შესაძლებლობა აქვთ, ისარგებლონ 0%-იანი განვადების განსხვავებული პირობებით. კერძოდ, შეიძინონ მათთვის სასურველი ნებისმიერი საოჯახო ტექნიკა ისე, რომ ნივთის ღირებულების გარდა, ზედმეტი თანხა არ გადაიხადონ.

პირობები მარტივია: განვადება — 0%, ბანკის საკომისიო — 0%, წინასწარი შესატანი — 0%.

აღნიშნული აქცია ტექნიკის ბაზარზე უპრეცედენტოა და ექსკლუზიურად მხოლოდ „სმაილის“ მაღაზიათა ქსელში SAMSUNG - ის ნებისმიერ ტექნიკაზე ვრცელდება. (კონდიციონერებზე, ნოუთბუქებზე და ნეთბუქებზე, მიკროტალღურ ღუმელებზე, მაცივრებზე, მტვერსასრუტებზე, ტელევიზორებზე, სარეცხი მანქანებზე, დივიდი ფლეერებზე, ფოტოაპარატებზე, სახლის კინოთეატრებზე, მობილურ ტელეფონებზე).

კომპანია „სმაილი“ და ბანკი „რესპუბლიკა“ მომხმარებელს ნოვატორულ აქციებს 2013 წლის დასაწყისშიც სთავაზობდა. კომპანიებმა საზოგადოებას 2-წლიანი, მოგვიანებით კი, 3-წლიანი 0%-იანი განვადება პირველებმა შესთავაზეს.

„სმაილის“ მარკეტინგის წარმომადგენლის, ხათუნა ნოზაძის თქმით, „სმაილმა“ ამჯერადაც გაითვალისწინა საზოგადოების ფინანსური მდგომარეობა და ბაზარზე ინოვაციური პროექტით გამოვიდა: **„ნებისმიერი შემოსავლის მქონე ადამიანს შესაძლებლობა აქვს, შეიძინოს ნებისმიერი ნივთი, მათ შორის ძვირადღირებული ტექნიკაც, რომელიც აქამდე მისთვის მხოლოდ ოცნების საგანს წარმოადგენდა. შეუძლია, ნივთის ღირებულება სასურველ პერიოდზე თანაბრად გადაანაწილოს ისე, რომ ზედმეტად არც ერთი თეთრის გადახდა არ მოუწევს“,** — აცხადებს ხათუნა ნოზაძე.

„მოხარულები ვართ, რომ მომხმარებლისთვის ასეთი მოსახერხებელი და უნიკალური პირობების შეთავაზება შევძელით. ეს საქართველოში პირველად ხდება და დარწმუნებულები ვართ, რომ აქცია ბევრს გაახარებს!“, — აცხადებს ბანკ რესპუბლიკის წარმომადგენელი ნათია ფრანგულაშვილი.

მომხმარებელი „სამსუნგის“ ფირმის სასურველი ნივთის 0%-იანი განვადებით შეძენას, მხოლოდ პირადობის მოწმობის წარდგენით შეძლებს. ყოველგვარი პირველადი შესატანისა და დამტკიცების საკომისიოს გადახდის გარეშე.

კომპანიებში აცხადებენ, რომ აქცია „სმაილის“ ქსელში — თბილისსა და შემდეგ რეგიონებში: თელავში, რუსთავსა და ბათუმში, ჭავჭავაძის 31-ში მდებარე ფილიალში გავრცელდება.

ამანდა პოლი

ევროკავშირი რუსეთის წინააღმდეგ

TODAY'S ZAMAN

ორი კვირის წინ დავწერე იმაზე, რომ სომხეთის პრეზიდენტმა, სერჟ სარგსიანმა რუსეთის თაოსნობით შექმნილ საბაჟო კავშირში გაწევრიანება გადაწყვიტა, ნაცვლად იმისა, რომ ბოლომდე მიეყვანა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ევროკავშირთან, რომელზეც ერევანი სამი წლის განმავლობაში მუშაობდა.

სომხეთის ამ მოულოდნელმა გადაწყვეტილებამ ევროკავშირისთვის გამომაფხიზლებელი ეფექტი იქონია – იქ მიხვდნენ, რამდენად სერიოზულად მუშაობს რუსეთი, რომ სომხეთის პრეცედენტი უკრაინასთან, მოლდოვასა და საქართველოსთანაც გაიმეოროს.

ნოემბერში, ვილნიუსში ევროკავშირის „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამიტია დაგეგმილი, ხოლო 25 ოქტომბერს – დამოუკიდებელი სახელმწიფოების თანამეგობრობის სამიტი, ე.ი. მზადება გეოპოლიტიკური ორთაბრძოლისთვის რუსეთსა და ევროკავშირს შორის მთელი ძალით მიმდინარეობს. ევროკავშირისთვის ამ ბრძოლის წაგება დაუშვებელია, თუ სამეზობლო პოლიტიკაში წარმატების მიღწევა სურს.

„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ პროგრამას არასოდეს ჰქონია ანტირუსული მიზნები. რუსეთი დასავლურ სამეზობლოს სტრატეგიულ იმპერატივად განიხილავს, ხოლო „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ პროგრამას – შეკავების ინსტრუმენტად; ამიტომაც ქმნის საკუთარ ინტეგრაციულ პროგრამებს, თუმცა არ არსებობს არგუმენტი, რომელიც საბაჟო კავშირში შესვლის სასარგებლოდ გაიჟღერებდა. იმ ქვეყნებმა, რომლებიც კავშირში გაერთიანდებიან, ამ ახალ ზენაციონალურ გაერთიანებას არა მხოლოდ საკუთარი ბიუჯეტის სოლიდური წილი უნდა დაუთმონ, არამედ სუვერენიტეტიც, ერთადერთი გზა კი, რომლითაც რუსეთი მათ გაერთიანებაში გაწევრიანებაზე ითანხმებს, ხელების ხშირი გადაგრეხა და დაშინებაა.

იმ დროს, როდესაც უკრაინა და მოლდოვა, უშუალოდ, ესაზღვრებიან ევროკავშირს, ხოლო უკრაინა მისი მასშტაბების, რეგიონული როლისა და ეკონომიკური პოტენციალის გამო, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, საქართველოც არ უნდა დავივიწყოთ. ამიტომ ვიყავი იმედგაცრუებული ლიტვის პრეზიდენტის, დალია გრიბაისკუტეს ამასწინანდელი გამოსვლით, სადაც მან განაცხადა, რომ ევროკავშირი იბრძოლებს უკრაინისა და მოლდოვასთვის, ხოლო, როდესაც საქართველოზე ჰკითხეს, მან უპასუხა – საქართველომ მიანიშნა, რომ დაინტერესებულია ორივე შესაძლებლობით. ეჭვს გარეშეა, ბიძინა ივანიშვილის იმ კომენტარს გულისხმობდა, სადაც იგი საბაჟო კავშირის წევრობაზე ლაპარაკობდა, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ საქართველოს ხელმძღვანელობის არაერთი განცხადების თანახმად, ევროპული ინტეგრაცია მათი პრიორიტეტია.

მართალია, საქართველო უფრო შორს მდებარეობს და უფრო რთული სამეზობლო აქვს, მაგრამ ის თანაბარწილად მნიშვნელოვანია. მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი იდეალურად არ არის, საქართველომ ბევრი იშრომა, რათა ევროკავშირის კრიტერიუმები დაეკმაყოფილებინა; მეტიც, ეს ერთადერთი ქვეყანაა ამიერკავკასიაში, სადაც ევროკავშირს რეალური გავლენა აქვს. სომხეთი დაკარგულია, ხოლო ბერკეტები აზერბაიჯანზე ზემოქმედებისა თითქმის არ არსებობს. რუსეთმა უკვე ბევრ ხისტ ზომას მიმართა საქართველოსთან მიმართებით: ისინი შეიჭრნენ ქვეყანაში, დაიპყრეს ორი რეგიონი, განიმტკიცეს სამხედრო ძალები, შეწყვიტეს აირის მიწოდება და აკრძალეს ქართული ღვინისა და წყლის იმპორტი. მართალია, ქართველებს მოსკოვთან კარგი ურთიერთობები სურთ, მაგრამ ეს ურთიერთობები ორმხრივ პატივისცემას უნდა ეფუძნებოდეს. არა მგონია, ქართველებს დაავიწყდეთ ის, თუ როგორ მოექანებოდა რუსული ტანკები თბილისისკენ რამდენიმე წლის წინ. მოსკოვს ჯერ კიდევ შეუძლია, თბილისი აცდუნოს, გაავრცელოს ხმები, რომ რუსეთი უარს იტყვის სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებაზე ან წავა გარიგებაზე და ამ რეგიონებიდან ერთი საქართველოს დაუბრუნდება.

ევროკავშირმა რუსეთის ასეთ აგრესიულ ქმედებაზე ირეაგირა, მაგრამ ჯერჯერობით, მხოლოდ სიტყვიერად. ევროპის პარლამენტის რეზოლუციაში ნათქვამია, **„ევროპარლამენტარები წუხან იმ მიუღებელი ზეწოლის გამო, რომელსაც რუსეთი ახორციელებს „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ პროგრამის ქვეყნებზე ვილნიუსის სამიტის მოახლოებასთან ერთად. ისინი მოუწოდებენ მოსკოვს, პატივის სცეს დამოუკიდებელი ქვეყნების სუვერენიტეტს და არ ჩაერიოს მათ შიდასაქმეებში, როგორც ამას საერთაშორისო სამართალიც ითხოვს“.** სამწუხაროდ, ამ მოთხოვნასაც, ალბათ, ისე შეასრულებენ, როგორც ლომი შეასრულებდა თხოვნას და უარს იტყოდა ხორცზე.

ისეთმა პატარა მოწყვლადმა ქვეყნებმა, როგორიც საქართველოა, უნდა იცოდნენ, რომ ევროკავშირი ბოლომდე დგას მათ გვერდით, როგორც პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ კონტექსტში. ევროკავშირმა უარი უნდა თქვას პოზიციაზე, რომელიც ხშირად აღიქმება, როგორც პასიური მიდგომა და უნდა აჩვენოს მართლაც სტრატეგიული ხედვა. მან უნდა ანახოს ყველას, რომ მის სამეზობლო პოლიტიკას აქვს ძალა და შეუძლია შედეგების მოტანა. ევროკავშირმა უნდა დაიწყოს საკუთარი ბაზრების გახსნა, გაზარდოს ფინანსური დახმარება და უფრო სწრაფად გააუქმოს ვიზები. მეორე, მან უნდა დააჩქაროს თავისი ტექნიკური მზადყოფნა, არადა, ხშირად ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს, კუს ნაბიჯით მოძრაობს; მეტიც, მან უნდა დაადასტუროს, რომ ბილეთს, რომელიც მეზობლებს მიჰყიდა, აქვს დანიშნულების პუნქტი, რომელიც ამჟამად არ ჩანს.

„გენდერციდი“ კავკასიაში

The Economist

ერთ დროს დათრგუნული ტენდენცია, რომლის თანახმად, ვაჟიშვილი მშობლებისთვის უფრო სასურველი იყო, ვიდრე გოგონა, უკან ბრუნდება.

ადრე მიიჩნევდნენ, რომ მდედრობითი სქესის ნაყოფის მოცილების პრაქტიკა, ძირითადად, ჩინეთსა და აზიის სხვა ქვეყნებშია გავრცელებული, თუმცა ეს ტენდენცია კავკასიაშიცაა და ორი ახალი კვლევა ამის მიზეზს იძიებს. პროგნოზი ასეთია — ყოველ 100 გოგონაზე 105 ბიჭი ჩნდება. ბიჭები უფრო მგრძნობიარენი არიან საბავშვო დაავადებებისადმი, ამიტომ მცირე დისბალანსი დაბადებისას, პუბერტატულ ასაკში მათ ტოლ რაოდენობას უზრუნველყოფს... მაგრამ სომხეთსა და აზერბაიჯანში ყოველ 100 გოგონაზე 115 ბიჭი ჩნდება, ხოლო საქართველოში 120 — აქ უფრო დიდი დისპროპორციაა, ვიდრე ჩინეთში. სამივე ქვეყანაში მაჩვენებლებმა მკვეთრად იმატა 1991 წლის შემდეგ.



2010 წელს, — ასკვნის მარკ მაიკლი ნიუ იორკის უნივერსიტეტიდან, — დაბადებული გოგონების რაოდენობა 10%-ით ჩამორჩებოდა მაჩვენებელს, რომელიც ნორმალურ პროპორციას უზრუნველყოფდა, უფრო დიდი დისბალანსი კი მხოლოდ ჩინეთშია. სქესობრივი ბალანსი კავკასიაში, განსაკუთრებით, მაშინ ირღვევა, როდესაც მეორე ან მესამე ბავშვი იბადება. სომხეთში ყოველ პირველ ას ქალიშვილზე 138 ბიჭი იბადება. თუ პირველი შვილი ბიჭია, უფრო სავარაუდოა, რომ მეორე გოგონა იქნება (ანუ შეიცვლება სქესის სელექცია); მაგრამ თუ პირველი შვილი გოგონაა, მაშინ ვაჟი ბევრად სასურველი ხდება. როდესაც პირველი შვილი გოგონაა, მეორე ბავშვი შემთხვევათა 61%-ში ბიჭია. სომხური ოჯახები, ჩანს, გეგმავენ არა მხოლოდ ოჯახის წევრების რაოდენობას, არამედ მის შემადგენლობასაც. ულტრაბგერითი გამოკვლევისა და, შესაბამისად, ნაყოფის სქესის დადგენის სიიაფე მნიშვნელოვნად ცვლის ვითარებას.

რამ განაპირობა კავკასიის პრეცედენტი? პასუხი, შეიძლება, პოლიტიკაში ვეძიოთ: სამივე ქვეყანას აქვს „გაყინული კონფლიქტები“, რომელსაც შეუძლია, შეამციროს გოგონების რაოდენობა და ოჯახის დაგეგმვა ვაჟების ყოლის სურვილმა განაპირობოს.

საბჭოთა კავშირი 70-იანებში თავს იწონებდა, რომ იქ ქალებს ისეთი უფლებები ჰქონდათ, როგორიც არსად; გარდა ამისა, საბჭოთა კავშირი არ უშვებდა ქალების დისკრიმინაციას რელიგიური ნიშნით; ვაჟების ამჟამინდელი პრეფერენცია კავკასიაში კი იმის დასტურია, რომ ტრადიციული ფასეულობები უკან ბრუნდება. მეორე მხრივ, კავკასია შეიძლება არც წარმოადგენდეს გამონაკლისს. ნიუ იორკული ორგანიზაციის პოპულაციის საბჭოს თანამშრომელმა ჯონ ბონგაარტმა 61 ქვეყანაში ჩაატარა კვლევა, რათა დაედგინა, როგორი იქნებოდა სქესობრივი პროპორცია იმ შემთხვევაში, თუ მშობლებს ვაჟიშვილებისა და გოგონების სასურველი რაოდენობა ეყოლებოდათ. აღმოჩნდა, რომ ქვეყნების ნახევარში სასურველი პროპორცია 110-ზე მეტია. სომხეთი და აზერბაიჯანი იმ ქვეყნებს შორისაა, რომელთაც ყველაზე მაღალი მაჩვენებლები აქვთ, მაგრამ მსოფლიოში და, განსაკუთრებით, აფრიკაში მშობლები ამბობენ, რომ მათთვის სასურველია, მეტი ვაჟიშვილი ჰყავდეთ, ვიდრე გოგონა. როგორც ბონგაარტი ამბობს, „არსებობს დიდი, ფარული მოთხოვნა სელექციურ აბორტებზე“. თუ კავკასია მაგალითია, მაშინ ეს მოთხოვნა საკმაოდ ადვილად შესრულდება.

ექსპერტი

„გაზპრომის“ ცხელი ევროპული ზაფხული

დასავლეთი და რუსეთი ქიმიურ იარაღზე შეთანხმდნენ, მაგრამ მათი ენერგოდაპირისპირება მწვავდება

ზურაბ გამრეკელი

გაზეთ „ვერსიის“ 2013 წლის 18 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში „ობამას მარცხი და რუსეთის დიდ სცენაზე ტრიუმფით დაბრუნება“, სამართლიანადაა ხაზგასმული, რომ „...იმ შემთხვევაში, თუკი ასადის ხელისუფლება დაემხობა, რუსეთს უარესი შედეგი ელის. მსოფლიო ინდექსები აიწევს, ხოლო ნავთობის ფასი დაეცემა. ყველაზე მეტი დარტყმის ქვეშ მოექცევიან კომპანიები: Роснефть, ЛУКойл და Газпром... ამიტომაა მოსკოვი გახარებული დასავლეთთან სირიის ქიმიური იარაღის ინსპექტირების შეთანხმებით, მაგრამ ევროპაში „გაზპრომის“ პოზიციები დღითიდღე სუსტდება. მიმდინარე წლის 14 სექტემბერს ლიტვის პრეზიდენტმა, დალია გრიბაუსკაიტემ ქ. ბრიუსელში, „ევროპის ენერგოპოლიტიკა – მეტი სოლიდარობის მიმართულებით“ კონფერენციაზე გამოსვლისას, ევროკავშირის წევრ ქვეყნებს მოუწოდა, არ მოაწერონ ხელი კონტრაქტებზე რუსულ ენერგოგიგანტთან იმ სახით, როგორითაც ისინი ამჟამადაა გაფორმებული; მეტიც, ევროკავშირის ამჟამინდელი თავმჯდომარე ქვეყანა ლიტვა, ფასთასხვაობის დაბრუნების მოთხოვნით, სტოკჰოლმის არბიტრაჟში „გაზპრომთან“ სასამართლო დავას აწარმოებს, ხოლო ევროკომისია უკვე დიდი ხანია, რუსული გაზის კორპორაციის წინააღმდეგ ანტიმონოპოლიურ გამოძიებას ატარებს. ამ გამოძიების შუალედურ შედეგებზე დაყრდნობით, ევროკომისიამ გამოსცა რეკომენდაცია, რომლითაც უკვე 2015 წლიდან რუსული გაზის მომხმარებელმა ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა „გაზპრომთან“ აღარ უნდა გააფორმონ გაზმომარაგების ხელშეკრულებები ყბადაღებული „აიღე ან გადაიხადეს“ პრინციპით, რაც რუსული მხარისთვის წლის განმავლობაში არა მარტო მიწოდებული, არამედ დაკონტრაქტებული, მაგრამ მოუხმარებელი გაზის საფასურის ანაზღაურებასაც და მიუღებელ გაზზე ჯარიმებსაც გულისხმობს. პრეზიდენტმა დალია გრიბაუსკაიტემ, ზემოაღნიშნული გამოსვლისას, პირდაპირ მიუთითა, რომ რუსული გაზის ფასები არასაბაზრო პრინციპებითაა დადგენილი. მან აღნიშნა, რომ თხევადი გაზის წარმოებისა და მისი უსაფრთხო ტრანსპორტირების დაწყება აირს „ბუნებრივი მონოპოლიის“ სტატუსიდან ფართო მოხმარების საქონლად აქცევს. ამით საერთაშორისო თანამეგობრობას საშუალება ეძლევა, საქონლით ვაჭრობის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წესები გაავრცელოს ყველა სახის გაზზე, რაც ბუნებრივი აირის გლობალური ბაზრის ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს.

თურქეთი „გაზპრომის“ დაბრკოლებად რჩება

ევროპას გაზით ჩრდილოეთ ევროპული, ჩრდილოეთ აფრიკული და რუსული („პირველი“, „მეორე“ და „მესამე დერეფნები“) გაზსადენები ამარაგებს. რუსული „დერეფნის“ უახლოესი კონკურენტი პროექტირების სტადიაზე მყოფი კასპიისპირეთი-თურქეთი-ევროპის „მეოთხე დერეფანია“. ამ „დერეფნის“ შემავსებელი, „სამხრეთკავკასიური გაზსადენი“ (ბაქო-თბილისი-ერზერუმი) საქართველოზე გადის. ქ. ერზერუმთან, თურქეთის ტერიტორიაზე დაპროექტებული „ტრანსანატოლიური“ ანუ „ტანაპის“ გაზსადენი (ერზერუმი-ევროკავშირის საზღვარი), აზერბაიჯანულ „შაჰ-დენიზი 2“-ის გაზს სწორედ „სამხრეთკავკასიური გაზსადენით“ მიიღებს, რაც ევროპის ენერგოუსაფრთხოებაში საქართველოს მნიშვნელობას ზრდის. თურქეთ-ევროკავშირის საზღვარზე „ტანაპი“ „ტრანსადრიატიკულ გაზსადენს“ („ტაპი“) შეუერთდება და ამ გაზს საბერძნეთის, ალბანეთის ტერიტორიებისა და ადრიატიკის ფსკერის გავლით ევროპის სამხრეთში, იტალიაში მიიტანს... ამიტომ „სამხრეთკავკასიური გაზსადენი“, „ტანაპი“ და „ტაპი“ არიან რუსეთის ტერიტორიის გვერდის ამქცევი ანუ ევროპის ბაზარზე „გაზპრომის“ ალტერნატიული მეოთხე ანუ „სამხრეთის გაზის დერეფნის“ გაზსადენები.

აღნიშნულ „დერეფანს“ თურქეთისათვის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან მისი დახმარებით ქვეყანა ევროპისათვის გაზმომარაგების „ჰაბი“ ხდება. თურქეთი ცდილობს, ეს ფაქტი ევროკავშირში მისი ინტეგრაციის მრავალწლიანი ოცნების აღსრულების ბერკეტად გამოიყენოს, ამიტომ ის ინარჩუნებს წილს მასთან დაკავშირებულ, ადრე დაპროექტებულ გაზსადენებში. მაგალითად, თურქი ექსპერტები და ოფიციალური პირები ცდილობენ „ტაპთან“ მიმდინარე წლის ივნისში, „შაჰ-დენიზი 2“-ის ტენდერში დამარცხებული „ნაბუქო-უესტის“ რეანიმაციას და ახალი გაზმომარაგების წყაროების ძიებას.

ასე მაგალითად, თურქული გამოცემა „საბაჰის“ მიერ მიმდინარე წლის 2 სექტემბერს გამოქვეყნებული ანგარიშის თანახმად, თურქეთის ენერგეტიკის მინისტრმა ტანერ ილდიზმა განაცხადა, რომ „ტრანსადრიატიკული გაზსადენის“ – „ტაპის“ კონსორციუმმა სახელმწიფო მილსადენ კონცერნს „ბოტაშს“ კვლავ შესთავაზა ამ გაზსადენში დამატებითი წილის შეძენა — მანამდე, „ტაპში“ თურქულ კონცერნს 15%-იანი წილი შესთავაზეს. ამჟამად „ტაპის“ კონსორციუმის კაპიტალი შემდეგნაირადაა განაწილებული: „ბი-პი“ (დიდი ბრიტანეთი), „სოკარი“ (აზერბაიჯანი) და „სტატოილი“ (ნორვეგია) მასში 20-20%-ს ფლობენ, „ფლაქსისი“ (ბელგია) – 16%, „ტოტალი“ (საფრანგეთი) – 10%, „ე.ონი“ (გერმანია) – 9%-ს და „აქსპო“ (შვეიცარია) – 5%-ს. „ტაპში“ ჯერ არ აცხადებენ, ამ წილებიდან რა დათმობით კომბინაციას შესთავაზებენ თურქეთის სახელმწიფო კომპანიას.

მართალია, „ტაპით“ პირველ ხანებში ევროპაში, წლიურად, სულ 10 მლრდ კუბმეტრი გაზის მიწოდებაა გათვალისწინებული, თანაც ეს გაზი იმ რეგიონში მივა, სადაც „გაზპრომის“ კონკურენტული ინტერესები ნაკლებად დაზიანდება, მაგრამ თვით რუსულის ალტერნატიული გაზსადენის არსებობის ფაქტი მოსკოვის გეოპოლიტიკურ მიზნებს ეწინააღმდეგება. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ კასპიისპირეთიდან ევროპის გაზმომარაგების ერთი არარუსული მარშრუტის გახსნაც კი „დომინოს პრინციპით“ გააჩენს გაზმომარაგების სხვა ალტერნატივებს.

ასეც ხდება... „როიტერის“ ინფორმაციით, თურქეთის სახელმწიფო ენერგორეგულატორმა სტამბოლის ენეგოკომპანია „სიაკელემზემ“ (Syahkelem Engineering Construction Industry and Trade) გასცა პირველი, 26-წლიანი ლიცენზია 2014 წლიდან ერაყის ქურთისტანიდან თურქეთში გაზის იმპორტზე. პირველ წელს 700 მლნ კუბმეტრი ქურთული გაზის იმპორტია გათვალისწინებული, ხოლო 2033 წლისთვის მისი იმპორტი, წლიურად, 3.2 მლრდ კუბმეტრს მიაღწევს. აღნიშნული სიახლე თურქეთის დინამიურად განვითარებადი ეკონომიკის გაზზე მოთხოვნის ზრდაზე მიუთითებს. შარშანდელი მონაცემებით, ენერგომოხმარების მხრივ, თურქეთმა უკან ჩამოიტოვა ამ მაჩვენებლით ევროპაში მესამე ადგილზე მყოფი დიდი ბრიტანეთი; ამავე დროს, აღნიშნული ხელშეკრულება მოწმობს თურქეთისა და ქურთისტანის მზარდ თანამშრომლობას. საქმე ისაა, რომ ქურთისტანი ფლობს ერაყის გაზის მარაგების 89%-ს ანუ 2.89 ტრლნ კუბმეტრ გაზს. ამჟამად ამ გაზის მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობა მოიპოვება, რაც რეგიონში ელექტროგენერაციას ხმარდება.

ზემოაღნიშნული კონტრაქტი, გარიგების შედარებით მოკრძალებული მოცულობის გათვალისწინებით, შეიძლება ჩაითვალოს „საცდელ ნიმუშად“ ქურთული გაზის მომავალი ექსპორტის დასაწყებად. ქურთისტანის გაზის რესურსები თურქეთსა და ევროკავშირში განიხილება, როგორც „პრობლემური“ თურქმენული და ირანული გაზის მარაგების ალტერნატივა. თუკი მოხერხდება ჩრდილოეთ ერაყიდან თურქეთში და იქიდან დასავლეთისკენ გაზის რეექსპორტი, ეს ფაქტი ტრანსევროპული გაზის პროექტების (მაგალითად, „ნაბუქო“) „რეანიმაციის“ მაუწყებელი იქნება. ეს პროექტები გაურკვეველი ვადით შეჩერებულია გაზის უკმარისობის გამო. ამდენად, ქურთისტანის გაზის მომავალმა ექსპორტმა, შესაძლოა, შეცვალოს ევროპისა და ევრაზიის გეოეკონომიკური რუკა, რაც მით უმეტეს, აქტუალურია — უკვე ევროპის გაზმომარაგების „მეხუთე დერეფნის“ კონტურებიც იკვეთება.

სირია ევროპის გაზმომარაგების „მეხუთე დერეფნის“ მარშრუტში

ჯერ კიდევ 2000-იან წლებში, მსოფლიოში მესამე დაზვერილი გაზის მარაგების მქონე ყატარმა, აქცენტი თხევადი გაზის მიწოდების ზრდაზე გააკეთა. თხევადი გაზის ტანკერებით ექსპორტმა ეს პატარა, ახლოაღმოსავლური ქვეყანა, გასაღების ბაზრების დივერსიფიკაციის თვალსაზრისით, გადააქცია გლობალური ენერგობაზრის დამოუკიდებელ მოთამაშედ, მაგრამ მისი გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით, ამ ქვეყნის შემოსავლის წყაროები დიდადაა დამოკიდებული სპარსეთის ყურეში უსაფრთხოების შენარჩუნებაზე.

რეგიონში სრულმასშტაბიანი კონფლიქტის დაწყების შემთხვევაში, თეირანი იმუქრება ორმუზის სრუტის გადაკეტვით

– სრუტისა, რომლის გავლითაც მიემართება „ქატარგაზის“ (ატარგას) ტანკერები. შედეგად, ყატარი, საუდის არაბეთის მსგავსად, ცდილობს, განავითაროს სრუტის გვერდისამქცევი ინფრასტრუქტურა. ამის მკაფიო მაგალითია ახლახან დასრულებული გაზსადენი არაბთა გაერთიანებული საამიროებისა და ომანის გავლით, რომელიც საჭიროების შემთხვევაში, ადვილად შეიძლება, ომანის ყურემდე იქნას მიყვანილი, მაგრამ ეს გაზსადენი ყატარს, სავარაუდოდ, ორმუზის სრუტის დაკეტვით მიყენებულ ზარალს ვერ აუნაზღაურებს; ამიტომ, დაახლოებით, 2008 წლიდან, ყატარის ხელისუფლება ახალ პროექტზე – სირიის ხმელთაშუა ზღვის სანაპიროსკენ მიწისზედა გაზსადენის, ე.წ. ევროპის გაზმომარაგების „მეხუთე დერეფნის“ აგებაზე ზრუნავს. მისი რესურსები შეიძლება ყატარის „ჩრდილოეთის თაღის“ (ირანში მას „სამხრეთ ფარსს“ უწოდებენ) მდიდარ საბადოებსა და ორიოდე წლის წინ აღმოჩენილი ისრაელისა და კვიპროსის ხმელთაშუა ზღვის ოფშორულ საბადოებში მოიძიონ. ამით ყატარი, ჯერ ერთი, „დაასწრებს“ სანქცირებულ ირანს საადავო საბადოს ათვისებას; მეორეც, ევროპის გაზმომარაგების დამოუკიდებელი, „მეხუთე დერეფნის“ არსებობით, თავს აარიდებს „ოპეკის“ მსგავსი გაზის კარტელის — „ოჯეკის“ (OGEC) წევრობას, რომელშიც დომინანტები, სავარაუდოდ, რუსეთი და ირანი იქნებიან.

ამასთან, ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე ცვლილებების ფონზე, ყატარისთვის სავსებით რეალურია მიწისზედა გაზსადენის სამივე სატრანზიტო ქვეყნის – საუდის არაბეთის, იორდანიასა და სირიისგან მშენებლობის ნებართვის მიღება. ამ გაზსადენით სირიისა და იორდანიის დაინტერესება აშკარაა, რადგან ისინი, ნავთობისგან განსხვავებით, გაზის დეფიციტს განიცდიან. ამასთან, ერ-რიადისა და ამანის, აშშ-ს ნაცვლად, უკვე ევროპისკენ შებრუნებისა და რეგიონის ახალი რეალიების გათვალისწინებით, გაზსადენის აგებაში ერთადერთი დაბრკოლება ბაშარ ალ-ასადის რეჟიმია.

ამ მარშრუტის განხორციელებაში სირია მნიშვნელოვანი რგოლი კიდევ იმ მიზეზითაა, რომ მის ტერიტორიაზე შეიძლება არა მარტო ყატარის, არამედ ეგვიპტის გაზმაც გაიაროს. კაიროს ახალი მთავრობა, დამატებითი შემოსავლების მისაღებად, დაინტერესებულია „არაბული გაზსადენით“ ბუნებრივი აირის ევროპაში მიწოდებით. ამ პროექტის წარმატების შემთხვევაში, ეგვიპტის მთავრობას აღარ ეყოლება გაზის ერთადერთი მყიდველი ისრაელი, თავს აარიდებს „არაბული გაზსადენის“ გაუთავებელ აფეთქებებს და აღარ მოუწევს ისრაელში იაფი გაზის ექსპორტისთვის მუდმივად თავის მართლება. ამდენად, გასაკვირი არაა, რომ დოჰასა და კაიროს შორის, სირიის ოპოზიციის მხარდაჭერის საკითხში, სრული ურთიერთგაგება ჩამოყალიბდა.

სირიის მთავრობა, ირანი და რუსეთი „მეხუთე დერეფნის“ წინააღმდეგ

სირიის გავლით, თავისი ნახშირწყალბადების ხმელთაშუა ზღვის სანაპირომდე მიტანის ყატარის მსგავსი გეგმები აქვს ირანსაც, მაგრამ ის აქცენტს სირიის ახლანდელ კლანზე აკეთებს. სადამ ჰუსეინის მტრული რეჟიმის დამხობის შემდეგ, თეირანს გაუჩნდა მმართველი ნური ალ-მალიქის შიიტური მთავრობის იმედი, რათა თავისი ნახშირწყალბადი ერაყის გავლით სირიაში გადაამისამართოს, რითაც მას მსოფლიო ბაზარზე გასვლის პერსპექტივა ექმნება. ხმელთაშუა ზღვის ნაპირზე თავისი გაზის მიყვანით, ირანს უჩნდება შანსი, დასავლეთის სანქციების მიუხედავად, მესამე ან მეოთხე „ხელის“ შუამავლობით, მოახერხოს თავისი ენერგომატარებლების რეალიზაცია.

ამ მიზნით, ჯერ კიდევ 2011 წლის ივლისში ირანს, ერაყსა და სირიას შორის გაფორმდა წლიურად 40 მლრდ კუბმეტრის სიმძლავრის, 10 მლრდ დოლარად ღირებული „მეგობრობის გაზსადენის“ მშენებლობის მემორანდუმი. ამ გაზსადენის ირგვლივ უკვე კონკრეტული სამმხრივი „ჩარჩო ხელშეკრულება“ 2013 წლის თებერვლის ბოლოს იქნა ხელმოწერილი. ზემოაღნიშნული არგუმენტი ირანს ბაშარ ალ-ასადის რეჟიმის ისეთ მხარდამჭერად აქცევს, რომ თეირანი არ ერიდება, მას ღიად დაეხმაროს ფულით, მოხალისეებითა და პოლიტიკური მხარდაჭერით. თუმცა როდის შეიძლება „მეგობრობის გაზსადენის“ პროექტის დაწყება სირიაში მიმდინარე სისხლისმღვრელი სამოქალაქო ომის პირობებში, ჯერ გაურკვეველია.

სირიის კონფლიქტში ირანის გვერდით მოაზრება რუსეთიც. ბაშარ ალ-ასადის გამარჯვების შემთხვევაში, რუსეთი, როგორც „მხსნელი“, გადამწყვეტ როლს შეასრულებს სირიის გავლით ახლო აღმოსავლეთის ნახშირწყალბადის ევროპისკენ ტრანსპორტირებაში. მაშასადამე, აშშ-დან ფიქლების გაზის ექსპორტის დაწყებამდე, „გაზპრომი“ შეინარჩუნებს მონოპოლიას ევროპის ბაზარზე.

აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის შელფზე გაზის საბადოების მქონე ისრაელი (რომელზეც რუსეთს, ბოლო დროს, გარკვეული ზემოქმედების ბერკეტები გაუჩნდა) ასევე შესაძლოა, თეორიულად რუსეთ-სირია-ერაყ-ირანის გაზის კონსორციუმის – „მეგობრობის გაზსადენის“ პოტენციურ წევრად წარმოვიდგინოთ. სავარაუდოდ, ისრაელს ამ კონსორციუმით თავისი გაზის ევროპაში, თურქეთის გვერდის ამქცევი მარშრუტით, ტრანსპორტირების იმედი აქვს.

თურქეთმა, შეიძლება, ბევრად კონსტრუქციული როლი შეასრულოს ირანული გაზის სირიის გავლით ტრანსპორტირებაში. ევროკავშირის „სამხრეთის გაზის დერეფნის“ ეს პოტენციური ალტერნატივა ანკარამ, შესაძლოა, გამოიყენოს როგორც „საჯილდაო ქვა“ ევროკავშირში გაწევრიანებაზე ბრიუსელთან მიმდინარე მრავალწლიან დაპირისპირებაში. ამასთან, თურქეთზე სირიის კონფლიქტის ნეგატიური ზეგავლენა, სავარაუდოდ, მისი მხრიდან შეასუსტებს აზერბაიჯანი-საქართველო-რუმინეთი-უნგრეთის „აგრის“ თხევადი გაზის პროექტისადმი ოპონირებას; ამიტომ არის შანსი, რომ „აგრის“ განხორციელება, რომელიც დამტკიცებულ გრაფიკს უკვე ნახევარი წლით ჩამორჩება, დაჩქარდეს. გამორიცხული არც ისაა, აზერბაიჯანი-თურქეთის „ტანაპის“ პროექტის წარმატების ფონზე, ამჯერად აზერბაიჯანში შენელდეს „აგრისადმი“ ინტერესი. ამასთან, სავარაუდოდ, ამ ინტერესის შენელების გამოხატულებაა ის, რომ ბრიტანელების მიერ მომზადებულ „აგრის“ ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებაში, ადრე შეთანხმებული მარშრუტი: „სოკარის“ ყულევის ტერმინალი (BST Ltd.) — კონსტანცა, იცვლება ახალი მარშრუტით: ფოთი (საქართველო) – მიდია (რუმინეთი).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, იცვლება აშშ-ს პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში. კერძოდ, ექსპერტულ წრეებში საუბრობენ, რომ ამერიკული „ფიქლების რევოლუციის“ დაწყების შემდეგ, ვაშინგტონის ინტერესები რეგიონის მიმართ, თანდათან ნაკლებად დაუკავშირდება ენერგეტიკას.

ამასთან, რუსეთისა და ირანის ძალისხმევით, 2013 წლის ნოემბრისთვის, სავარაუდოდ, ჩამოყალიბდება გაზის გლობალური ბაზრის კარტელური მონოპოლია — „ოჯეკი“ (OGEC). ამით გლობალური გაზის ბაზარი კვლავ გამყიდველის ბაზრის სახეს მიიღებს. პროდასავლურ ყატარსა და საუდის არაბეთს კარტელში გაწევრიანება არ სურთ და ცდილობენ, „ჩრდილოეთ თაღის“ („სამხრეთ ფარსის“ ყატარული ნაწილი) საბადოდან, სირიისა და იორდანიის გავლით, ახალი გაზსადენი ააგონ. კარტელის შექმნა ასევე გამოიწვევს ირანის „სამხრეთ ფარსიდან“, ერაყისა და იგივე სირიის გავლით, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროსკენ, „მეგობრობის გაზსადენის“ აგების დაჩქარებას. ამით კარტელის მომხრეები ყატარისა და საუდის არაბეთის ახალი გაზსადენის აგების შეფერხებას შეეცდებიან. მოსკოვი, „ოჯეკის“ იდეის მომხრე, სირიის ბ. ალ-ასადის მთავრობისა და ირანის აშკარა მხარდაჭერას გააგრძელებს, რაც განხეთქილებას შეიტანს „გაზის ექსპორტიორი ქვეყნების ფორუმში“ (GECF), რამაც სავარაუდოდ, შეიძლება, ყატარისა და მისი მხარდამჭერების მიერ „ფორუმის“ დატოვება და გაზის ბაზრების დამოუკიდებელი წვდომის გზების ძიების აქტუალიზაცია გამოიწვევს.

ზემოაღნიშნულის გამო, ახლო აღმოსავლეთის გაზის ტრანსპორტირების მარშრუტების ცენტრში მყოფი სირიის ტერიტორიაზე დაპირისპირება კიდევ უფრო გამწვავდება, რაც რუსეთის ინტერესებშიც შედის. ვიდრე ყატარი, თურქეთი, ირანი და ევროკავშირი სირიის საკითხზე ერთმანეთთან არკვევენ ურთიერთობებს, „გაზპრომი“ აგრძელებს თავის მეგაპროექტებს – „ჩრდილოეთის ნაკადს“ (მიმდინარეობს მესამე და მეოთხე მილების დამატებაზე მსჯელობა) და „სამხრეთის ნაკადს“ (წყალქვეშა სექციის მშენებლობა ახლა იწყება). ამასთან, თუ რუსეთი მოახერხებს სირიაში ომის დასრულებამდე და ევროპული „სამხრეთის გაზის დერეფნის“ პროექტების განხორციელებამდე, თავისი მილსადენების აგებას, ის სავარაუდოდ, შეინარჩუნებს ევროპის ბაზარზე მონოპოლიურ მდგომარეობას, რაც მისი ბიუჯეტის შევსებისთვის კრიტიკულად აუცილებელია, ამიტომ მოსკოვის პოზიციაა სირიის კონფლიქტის დაკონსერვება პრინციპით – „რაც უარესი, მით უკეთესი“.

თუ ახლო აღმოსავლეთში მოვლენები ზემოაღნიშნული სცენარებით განვითარდება, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სირიაში სამოქალაქო დაპირისპირების ესკალაცია მოსალოდნელია 2013 წლის ნოემბრის შემდეგ. ეს უკავშირდება გაზის კარტელური მონოპოლის, — „ოჯეკის“ (OGEC) შექმნას. მისი შექმნისა და „მეგობრობის გაზსადენის” მშენებლობის ჩასაშლელად ყატარი, საუდის არაბეთი, თურქეთი, ევროკავშირი, სავარაუდოდ, გააგრძელებენ სირიის ოპოზიციის მხარდაჭერას. ამასთან, ყატარის „ჩრდილოეთ თაღიდან“ ხმელთაშუა ზღვისკენ გაზსადენის ზემოთ განხილული პროექტის განხორციელება, „ოჯეკის“ საწინააღმდეგო და გაზის გლობალური ბაზრის შექმნისაკენ გადადგმული სერიოზული ნაბიჯი იქნება. ექსპერტების აზრით, თურქეთის სირიის მოვლენებში ჩართულობამ, შეიძლება, შეაფერხოს აზერბაიჯან-თურქეთის „ტანაპის“ გაზსადენის პროექტი და სტიმული მისცეს აზერბაიჯანი-საქართველო-რუმინეთი-უნგრეთის „აგრია“ (LNG) პროექტს. ამიტომ მიგვაჩნია, რომ სამხედრო მუქარის მიუხედავად, აშშ, სავარაუდოდ, ღიად არ ჩაერთვება სირიის კონფლიქტში. საშუალოვადიან პერსპექტივაში, ვაშინგტონს თავისი ფიქლების ნავთობისა და გაზის ექსპორტის 2016-2020 წლებში დაწყების კვალობაზე, სულ უფრო ნაკლებად დაეინტერესებს ახლო აღმოსავლეთისა და სამხრეთ კავკასია/ცენტრალური აზიის გეოეკონომიკური და გეოპოლიტიკური გამოწვევები.

შსს-მ უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და ნარკოტიკი ამოიღო

შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, წარსულში განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებისთვის მრავალჯერ ნასამართლევი, 1970 წელს დაბადებული გურამ ლ. ფოთში დააკავეს. დაკავებულის პირადი ჩხრეკისას „ნაგანის“ ტიპის რევოლვერი და ამავე ცეცხლსასროლი იარაღისთვის განკუთვნილი, სროლისთვის ვარგისი 7 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს. გურამ ლ-ს ჩხრეკისას ასევე აღმოაჩნდა ერთჯერად შპრიცში მოთავსებული 0,000011 გრ ნარკოტიკული საშუალება „დეზომორფინი“. ნარკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით, დაკავებულს „ოპიუმის“ ჯგუფის და ფსიქოტროპული საშუალება „ბენზოდიაზეპინის“ ჯგუფის ნივთიერებების მოხმარების ფაქტი დაუდგინდა. გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების (სსსკ-ს 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით) და დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერების შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ-ს 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით). გამოძიებას სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველო აწარმოებს.

„ვერსიანიუსი“

საგარეჯოში პროსტიტუციისთვის საცხოვრებლის გადაცემის ბრალდებით ერთი პირი გამოავლინეს

შსს-ს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს საგარეჯოს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა 1950 წელს დაბადებული თამარ ნ. გამოავლინეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ ის საგარეჯოში, ქვემო სამგორის დასახლებაში, კუთვნილ საცხოვრებელ სახლში მდებარე ოთახებს, გარკვეული გასამრჯელოს სანაცვლოდ, პროსტიტუციისთვის აქირავებდა; ამის გარდა, ხელს უწყობდა პროსტიტუციაში ჩაბმული ქალბატონებისთვის კლიენტების მოძებნას. მოწმის სტატუსით დაიკითხა რამდენიმე ქალბატონი, რომლებმაც მისი სახლით უკანონოდ ისარგებლეს. გამოვლენილი პირი აღიარებს ჩადენილ დანაშაულს. გამოძიება პროსტიტუციისთვის ადგილის ან საცხოვრებლის გადაცემის ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ-ს 254-ე მუხლით).

„ვერსიანიუსი“

შსს-მ ტრეფიკინგის ფაქტზე ერთი პირი დააკავა

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მე-2 მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1983 წელს დაბადებული დავით თ. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ბრალდებით დააკავეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ მიმდინარე წლის ივლისში დავით თ-მ 1993 წელს დაბადებული თ.ა. ოჯახისთვის ზიანის მიყენების მუქარით ყვარლიდან თბილისში ჩამოიყვანა, პირადობის მოწმობა და ტელეფონი გამოართვა და განუცხადა, რომ მას მამაკაცებისთვის სექსუალური მომსახურება უნდა გაეწია, რაზეც უარი მიიღო. ამის შემდეგ დავით თ-მ თ. ა-ს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, შეუზღუდა თავისუფლად გადაადგილების უფლება და მუდმივი მუქარის ქვეშ აიძულებდა, ბარ „თენექ“-ში მამაკაცებისთვის სექსუალური მომსახურება გაეწია, ხოლო მათ მიერ გადახდილ თანხას მთლიანად ითვისებდა. გამოძიება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ-ს 143-ე პრიმა მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით).

„ვერსიანიუსი“

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ ᲨᲔᲜᲘᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

						5		
					5		9	8
	1			9			6	3
	5	3	9		1		4	
6				5				9
	8		3		4	2	5	
5	7			3			1	
3	6		7					
		1						

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

					7	3	2	1
	3				4	7		
				2		4		
	2			8		9		
5								8
		6		3			4	
		4		6				
		3	9				1	
1	5	9	8					

ᲠᲗᲣᲚᲘ

	6							
					9	8	7	
1			3					4
		5		3			1	
		7		4		9		
	8			1		5		
6					7			2
	7	3	8					
							6	

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

				9		8		3
3		1			6	5		4
9							2	
8		7	3					
5		3				6		2
					7	3		5
	3							8
4		8	2			1		6
1		5		3				

ბედნიერებისთვის მამაკაცი არ არის საჭირო?

გასულ თვეს აშშ-ს მცხოვრებმა, 36 წლის ნადინ შვაიგერტმა მდიდრული ქორწილი გადაიხადა. ჩაიცვა ლამაზი საპატარძლო კაბა, უზარმაზარი სადღესასწაულო ტორტი შეუკვეთა და ცერემონიაზე 45 სტუმარიც დაპატიჟა. ერთადერთი, რაც ქორწილს აკლდა, სიძე იყო, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ასეც იყო ჩაფიქრებული: ნადინი დემონსტრაციულად მისთხოვდა საკუთარ თავს, რათა დაამტკიცოს, რომ სრული ბედნიერებისთვის მას მამაკაცი საერთოდ არ სჭირდება. პატარძალს უკვე ჰყავს სამი შვილი და ოდესღაც ქმარიც ჰყავდა, თუმცა განქორწინების შემდეგ, ის რამდენიმე წელი ამაოდ ელოდა, რომ მის ცხოვრებაში კვლავ გამოჩნდებოდა მამაკაცი, რომელიც სიცოცხლის ხალისს დაუბრუნებდა. დროთა განმავლობაში ნადინს ფსიქოლოგიური პრობლემებიც შეექმნა და სპეციალური თერაპიის კურსიც დასჭირდა. ერთხელ მისმა ნაცნობმა ხუმრობით ურჩია, თავი დაენებებინა იდეალური კაცის ლოდინისთვის და საკუთარ თავზე გათხოვილიყო. ამ იდეამ ქალი იმდენად გაიტაცა, რომ რამდენიმე თვის შემდეგ, ახლობლების თხოვნის მიუხედავად, ნამდვილი ქორწილი გადაიხადა. სხვათა შორის, მსგავსი მონო-ქორწინება აშშ-ში იშვიათობა არ არის, ის სიმბოლური ხასიათისაა და მღვდლის დასწრებას არ ითვალისწინებს, მისი მიზანი კი ადამიანების დახმარებაა — მათ უნდა გააცნობიერონ, რომ თავად არიან საკუთარი ბედნიერების შემქმნელები და ამაში სხვა პიროვნება არ სჭირდებათ.

მარტოობის წამალი — კაცი გაქირავებით

არენდა Ossan, ანუ „ახალგაზრდა, მომხიბვლელი მამაკაცის გაქირავება“, უახლესი და გასაოცარი სერვისია ამომავალი ზის ქვეყანაში. როგორც სახელწოდებიდან ჩანს, მომსახურება ადამიანებს საშუალებას აძლევს, საშუალო ასაკის იაპონელი მამაკაცი საათში 10 დოლარად იქირაონ, ქვეყანაში კი უამრავი მსგავსი სააგენტო არსებობს და ყველას შეუძლია ახალგაზრდა მამაკაცი ან გოგონა დაიქირაოს. Ossan-ის დამფუძნებლებმა კი ასაკოვანი მამაკაცების გაქირავების პირველი ცენტრი გახსნეს. ფირმა კლიენტებს ამჟამად მხოლოდ ორ ვარიანტს სთავაზობს — ან 64 წლის მამაკაცი, დიზაინის ფაკულტეტის ლექტორი და მეორე — ყოფილი ბეისბოლისტი, რომელიც ახლა სპორტულ კომენტატორად მუშაობს. ორივე საკმაოდ საინტერესო პიროვნებაა, თუმცა კომპანია კაცების „ასორტიმენტის“ გაზრდას გეგმავს, როგორც კი ბიზნესი წარმატებულ სტარტს აიღებს. დაქირავებულთან ერთად კლიენტს შეუძლია ვიდეოთამაშებით ან საინტერესო საუბრით გაერთოს.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

3	8	2	7	5	1	6	9	4
6	9	7	8	4	3	5	1	2
5	4	1	2	6	9	8	3	7
1	7	9	6	3	2	4	8	5
4	6	8	5	1	7	3	2	9
2	3	5	4	9	8	7	6	1
9	5	6	3	2	4	1	7	8
8	2	4	1	7	6	9	5	3
7	1	3	9	8	5	2	4	6

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

6	2	7	8	5	1	4	3	9
1	9	3	7	4	6	8	5	2
8	5	4	3	2	9	1	7	6
5	6	9	4	3	8	2	1	7
4	3	2	1	7	5	6	9	8
7	8	1	6	9	2	5	4	3
3	7	8	2	1	4	9	6	5
9	4	6	5	8	3	7	2	1
2	1	5	9	6	7	3	8	4

ᲠᲗᲣᲚᲘ

8	7	1	4	6	5	3	9	2
4	3	6	2	1	9	8	5	7
5	2	9	8	3	7	6	1	4
2	1	8	3	9	6	7	4	5
9	6	7	5	2	4	1	8	3
3	5	4	7	8	1	2	6	9
1	9	5	6	7	3	4	2	8
7	4	2	1	5	8	9	3	6
6	8	3	9	4	2	5	7	1

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

9	4	6	7	5	2	3	1	8
3	2	7	8	6	1	5	9	4
8	1	5	3	9	4	7	2	6
5	9	4	2	1	8	6	7	3
1	8	3	9	7	6	4	5	2
7	6	2	5	4	3	1	8	9
6	7	1	4	8	9	2	3	5
2	5	9	6	3	7	8	4	1
4	3	8	1	2	5	9	6	7

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

9	8	2	7	6	5	1	4	3
1	3	4	2	9	8	7	5	6
7	6	5	1	4	3	8	2	9
2	1	8	4	5	9	6	3	7
6	7	9	8	3	2	5	1	4
5	4	3	6	7	1	2	9	8
3	5	7	9	1	6	4	8	2
4	2	1	3	8	7	9	6	5
8	9	6	5	2	4	3	7	1

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

5	4	2	6	1	8	9	7	3
3	7	1	9	5	4	8	6	2
9	6	8	2	3	7	5	4	1
6	2	9	8	4	3	1	5	7
4	1	7	5	9	6	3	2	8
8	5	3	7	2	1	6	9	4
2	3	5	4	8	9	7	1	6
1	9	6	3	7	2	4	8	5
7	8	4	1	6	5	2	3	9

ᲠᲗᲣᲚᲘ

3	2	8	1	9	5	7	4	6
4	1	7	6	8	3	2	5	9
6	5	9	2	7	4	3	1	8
9	3	6	4	5	8	1	7	2
2	4	1	7	6	9	8	3	5
8	7	5	3	2	1	6	9	4
7	8	4	9	3	6	5	2	1
1	6	3	5	4	2	9	8	7
5	9	2	8	1	7	4	6	3

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

9	8	4	2	3	1	7	6	5
7	1	6	9	8	5	4	3	2
5	3	2	6	4	7	1	9	8
6	7	5	4	2	8	9	1	3
4	2	3	7	1	9	8	5	6
8	9	1	5	6	3	2	4	7
3	6	8	1	7	4	5	2	9
2	4	9	8	5	6	3	7	1
1	5	7	3	9	2	6	8	4

მე-13 გვერდი: 1. ჯენტლმენი; 2. სარქალი; 3. მარაო; 4. აქატი; 5. ქლორი; 6. კოპენჰაგენი; 7. მათუსალა; 8. ნავთლუღი; 9. პასტორი; 10. სნო; 11. ომონიმი; 12. იმპულსი; 13. თივა; 14. იშიასი; 15. უშუ; 16. სელი; 17. სვია; 18. არარატი; 19. მიმინო; 20. ურნა; 21. ნაი; 22. ასურეთი; 23. ლაღი; 24. სამასი; 25. ხაო; 26. იანვარი; 27. ნოკაუტი; 28. ჰაიდუკი; 29. დელტაპლანი; 30. ვო; 31. „კრაისლერი“; 32. არფა; 33. ლუარა; 34. ქათინაური; 35. თეირანი; 36. რა; 37. ამორტიზაცია; 38. იუმორი; 39. გვალვა; 40. ოე; 41. კვეტარი; 42. სუ; 43. ელიოტი; 44. აურა; 45. ნუგა; 46. ალეპო; 47. აგური; 48. თიმფუ; 49. კასტეტი; 50. გლიერი; 51. ნატი; 52. რიკოშეტი; 53. მაო; 54. ალენ; 55. გოგია; 56. მარლა; 57. კირი; 58. ლიე; 59. ომი; 60. მთიები; 61. რაგუ; 62. ორლი; 63. რეტი; 64. აზუ; 65. ელეგია; 66. ამატი; 67. უმა; 68. თარაშ; 69. რე; 70. ასოლი; 71. ლია; 72. მამაი; 73. რიონი; 74. ერგასი; 75. ტყე; 76. ამარეტო; 77. ტენცო; 78. ალია; 79. ტურა; 80. ბუ; 81. იანგული; 82. ტვისტი; 83. იუსტიცია; 84. იბნ; 85. იაია.

1. მდინარე ყვარელში
2. კატ-ეგორიული მოთხოვნა მოქარით
3.ორგანიზმის მოწამვლა თირკმ. უკმარ-ისობის შედეგად
4.„და ვინ-ჩის კოდის“ ავტორი
5. უდიდესი ქვეყანა ტერიტორიის ფართობით
6. ას-ტრონომიის მუზა
7. მშვიდობის ფრინველი
8. გეომეტრი-ული ფიგურა
9.დაუშლე-ლი გამოთ-ქმა ამა თუ იმ ენაში
10.წერილის მოძველებული სახელწოდება
11. შემა-ერთებელი ქსოვილის სახეობა
12. ახლად ამოსული, ნედლი ბალახი
13. მისი გული ცხრა ძმამ გაიყო
14. გასეირ-ნება ბავშვის ენაზე
15.ევროპე-ლი ებრაე-ლების ენა
16. იგივეა, რაც ზამბახი
17. მადი-არების ქვეყანა
18. გავარ-ვარებული ვულკანური მასა
19.მევალისათვის ვალის გადახდის უზრუნველ-საყო-ფად ჩაბარებული ქონება
20. სუტკნე-ინას სახელი „კაცია-ადამი-ანში“
21. სამის მომდევნო რიცხვი
22. მეფე დავით VII-ის მეტსახელი
23.„მანჩესტერ იუნაიტედის“ სტადიონი „... ტრაფორდი“
24. ქართული მითოლოგიის გმირი
25. მტაცებე-ლი ცხოველი კატისებრთა ოჯახიდან
26. თავის კანი თმებიანად
27. ორკორ-პუსიანი გემი
28.წარსულ-ში ცნობი-ლი ჩეხი ჩოგბურ-თელი
29.წვიმისაგან დასაცავი ხელ-ში დასაჭერი მოწყობილობა
30. ამერიკელი თეთრკანიანი რეპერი
31. კედლის სანათი
32. სახურავი მასალის სახე-ობა
33. ქვეყანა აზიაში
34. მუხლის სახსრის ანთება
35. „უძინ-ართა მზის“ რეჟისორი
36. მილანის სურათების გალერეა
37. „მილა-ნის“ მეკარე
38. არქტიკუ-ლი სარტყლის სამხრეთი ზონა
39. შებო-ლილი ხორცი
40. გიტარის კორპუსის ნაწილი
41. სოფელი ახალციხის რაიონში
42. „ნათლი-მამას“ კომ-პოზიტორი
43.იტალ. ცეცხლსას-როლი იარა-ღის მარკა
44.ღვინის დასაყენებელი და შესანა-ხი ადგილი
45.ტბა ჩრდ. ამერიკაში
46.ქიმიური ელემენტი
47. ბერძნული მითოლოგიის პერსონაჟი, დიონისეს აღმზრდელი
48.ზუთხის ლორად გამოყვანილი გვერდი
49. მოლდო-ვას ფულის ერთეული
50.სიბრძნის ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში
51. იგივეა, რაც წრეხაზი
52. ცეცხლის მნათი ნაწილი
53. სამხრეთ ამერიკაში მობინადრე გიგანტური ხვლიკი
54. სმენის ორგანო
55. ცუდი, საძრახისი რამ
56. საჭ-მელი სოკოს სახეობა
57. ბარბის ბოიფრენდი
58. ახალგაზ-რდა მატროსი
59.ადამიანის სისხლის მა-მოძრავებელი ორგანო
60.„საინფორ-მაციო ღრუ“
61.ფრანგი კომპოზიტორი
62. ჰოლივუ-დის ლეგენდა ... ჰეპბერნი
63. მუს. გამის პირველი საფეხური
64.ტუბერ-კულოზის ხალხური სახელწოდება
65. ამერიკული ავტომარკა
66. ანდრეი შევჩენკოს მეტსახელი
67. იაპონური პოეზიის ჟანრი
68. ბრიტა-ნელი მომ-ღერალი და სიმღერების ავტორი ... სტიუარტი
69. თავაშვე-ბული ქეიფი, ღრეობა
70.სკარლე-ტის გვარი („ქარწაღე-ბულნი“)
71. სამაგიდო თამაში
72. ჩაღ-რმავებული ადგილი მუცელზე
73.მძიმედ შეიარაღებული ჯარისკაცი ძვ. საბერძ.
74.დღეის მომდევნო დღეს ანუ ...
75. მატყლის ქსოვილი
76. რკინიგ-ზის პატარა ვაგონი
77. ისტო-რიის მუზა
78. სასწავლო დაწესებულება
79. ბულ-გარეთის დედაქალაქი
80. მსახიობი ... ტაილერი
81. საბჭოთა პოლიტიკური მოღვაწე, სტალინური რეპრესიების ერთ-ერთი ორგანიზა-ტორი
82. უეცარი შიში
83. წამლის ბურთულა
84. ძვ. ქართ. საგაზაფხულო ხორბლის სახეობა
85.სერგეი ბუბკას სპორტული იარაღი
86. რუსი მოგზაური ნიკოლოზ მიკლუხო-...

ლუდი, რომელსაც პურზე წაუსვამ

იტალიური ლუდსახარშის, Emanuela Laurenzi-ისა და შოკოლადის მწარმოებელი Pietro Napoleone-ის ძალისხმევით, ბაზარზე ახალი ლუდი გამოჩნდა, რომელიც შეგიძლიათ პურზე წაუსვათ და ისე მიირთვათ, როგორც შოკოლადის პასტა. საამისოდ ქარვისფერი სასმელი ერთგვაროვანი, ნაღების კონსისტენციის მასად აქციეს. შედეგად წარმოიშვა პროდუქტი Birra Spalmable — პასტისებური ლუდი ინტენსიური არომატითა და მკვეთრად გამოხატული გემოთი. სიახლე Selfridges-ის ოფიციალურ საიტზე იყიდება და 280-გრამიანი ქილა 12 დოლარი ღირს. ჯერჯერობით, ახალი „სასმელის“ მხოლოდ ორი სახეობა გამოდის.

ჰოროსკოპი 25 სექტემბერი

ვერძი — თქვენი ორგანიზატორული ნიჭი დაგეხმარებათ, დრო და ენერგია ფუჭად არ დახარჯოთ, წარმატება გარანტირებული გექნებათ.

კურო — შესაძლოა, ტეუილის მსხვერპლი გახდეთ. შეეცადეთ, არ მიიღოთ სხვისი სიტყვები ჭეშმარიტებად. კრიტიკული დამოკიდებულება — ეს უნდა იყოს თქვენი კოზირი.

ტყუპები — მრავალფეროვანი დღეა და წარმატებით წარიმართება, თუ სწორად შეაფასებთ საკუთარ შესაძლებლობებს. არასასურველია იმ საქმეებით დაკავება, რაც ფინანსებსა და ბიზნესგეგმებს უკავშირდება.

კირჩხიბი — გამოძიებით დაკავდებით, რაც თქვენს ახლობელ ადამიანს უკავშირდება, შეეცადეთ მას შეძლებისდაგვარად დეხმაროთ, გამოიყენეთ ლოგიკა და ინტუიცია.

ლომი — ძალიან მცირეა შანსი, რომ ოდესმე კიდევ მოგეცეთ შესაძლებლობა, თავი გარშემომყოფების წინაშე შეტად პოზიტიურად წარმოადგინოთ.

ქალწული — შესაძლოა, დაგეგმილ ღონისძიებაზე პოზიტიური შედეგის მიღწევაში ხელი მხოლოდ საკუთარმა საზარმაცემ ან ზედმეტმა თავმდაბლობამ შეგიშალოთ. ეცადეთ, ეს წინააღმდეგობა დაძლიოთ.

სასწორი — დღე დაძაბულია. იცით, რომ არსებული პრობლემები სერიოზული არ არის, მაგრამ მაინც ბევრს ფიქრობთ. შესაძლოა, ძლიერი სქესის წარმომადგენლებს პრობლემები შეექმნათ მანდილოსნებთან.

ღრიანცალი — წარმატებული და ნაყოფიერი დღეა, ადვილად უმკლავდებით რთულ საქმეებს. საკარაუდოა საინტერესო ნაცნობობა, თუმცა დღეს დაწყებული რომანტიკული ურთიერთობა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება წარმატებული, თუკი მოვლენებს არ დააჩქარებთ.

მშვილდოსანი — შეგიძლიათ თავით გადაეშვათ თქვენს სულიერ სამყაროში ან ფილოსოფიური ლიტერატურის კითხვით შეიქციოთ თავი. რაც უფრო შორს იქნება თქვენი აზრები რეალობისგან, მით მეტი შესაძლებლობა გაჩნდება შემდგომი მოქმედებისთვის.

თხის რქა — შესანიშნავი დღეა, საკუთარ საქმეებსაც აგვარებთ და მათაც ეხმარებით, ვინც რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. შესაფერისი დღეა ეურიდიული საკითხების მოსაგვარებლად.

მერწყული — არ არის გამორიცხული მცირე უსიამოვნება, რასაც ადვილად გაუმკლავდებით. ეცადეთ, ნებისმიერი გადაწყვეტილება ცივი გონებით მიიღოთ.

თევზები — გარშემომყოფები შეცდომებზე მიგითითებენ და თქვენს ქცევას გააკრიტიკებენ. თუ ამ ყველაფერს გულთან ახლოს მიიტანთ, დეპრესია გარანტირებული გექნებათ. საკუთარი პოზიციები ბოლომდე დაიცავით.

ოქროპანი ქვის ხანის მენიუთი

ბერლინში რესტორანი გაიხსნა, რომლის მფლობელებიც კლიენტებს იმ კერძებს სთავაზობენ, რომელსაც მილიონობით წლის წინ გამოქვაბულის ადამიანები მიირთმევდნენ. ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არ არის არც პური, არც ყველი, არც შაქარი... რესტორანმა Sauvage ცოტა ხნის წინ სიამაყით განაცხადა, რომ სტუმრებს ეგრეთ წოდებული პალეოლითის სამზარეულოთი გაუმასპინძლდებიან. დაწესებულების მფლობელები ოფიციალურადაც არიან „პალეოლითის მოძრაობის“ წევრები, რომელსაც საფუძვლად უდევს ქვის ხანის დიეტა, ინტენსიური ფიზიკური დატვირთვა, ბუნებასთან სულიერი კონტაქტი, მზის შუქი, მინიმალური ტანსაცმელი და მაქსიმალური ძილი. Sauvage კლიენტებს სთავაზობს, გახდნენ ამ მოძრაობის წევრები, თუმცა მათ შეუძლიათ, მხოლოდ გასტრონომიით შემოიფარგლონ..

ტატუს ღორებსაც უკეთებენ

ბელგიელი მხატვარი ვიმ დელვოი კონცეპტუალური ხელოვნების ჟანრში მუშაობს. საკუთარ ფერმაში, რომელიც ჩინეთში მდებარეობს, იგი ტატუთი ღორებს ალამაზებს. სიუჟეტების რანგში ვიმი განსხვავებულ თემებს ირჩევს — დისნეის ქალთევზადან დაწყებული, იაკუძას აღმოსავლური, მრავალფეროვანი სახეებით დამთავრებული. მოხატვის შემდეგ ეს ღორები რაღაც პერიოდი ფერმაში რჩებიან და დამთვალიერებელს თავისი უჩვეულო გარეგნობით ახალისებენ, მერე კი, სასაკლაოზე გზავნიან. დაკვლის შემდეგ ცხოველებს კანს აცლიან და ტილოზე ჭიმავენ — ამგვარად იღებენ ორიგინალურ ნახატებს. როგორც მხატვარი ამტკიცებს, ხშირად ცდილობს, გადაარჩინოს ტატუიანი ღორები და მათ ჩინელი მეხორცეებისგან გამოისყიდის ხოლმე.

ყველაზე ძვირფასი ჰოთ-დოგი

სწრაფი კვების პროდუქტებიდან ჰოთ-დოგი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია, ამიტომ გასაკვირი არაა, რომ დიდი ხნით ვერავინ ინარჩუნებს „მსოფლიოში ყველაზე ძვირიანი ჰოთ-დოგის“ წოდებას — თავს ჯერ ნიუ იორკის რესტორანი Serendipity 3 იწონებდა, რომელიც კლიენტებს 69-დოლარიან ჰოთ-დოგს სთავაზობდა, მოგვიანებით, შედეგი გაუმჯობესდა და Brockton Rox-ის პროდუქცია 80 დოლარი ჯდებოდა, ცოტა ხნის წინ კანადური კაფე DougieDog ყიდდა ყველაზე ძვირიან ჰოთ-დოგს, რომელიც მსურველებს 200 დოლარი უჯდებოდათ, დღეისთვის კი, ლიდერი კვლავ შეიცვალა და როგორ ჩანს, დიდი ხნით. მსოფლიოში ყველაზე ძვირფასი ბუტერბროდი გამყიდველ მაიკლ ჯულიანოსგან შედეევრად იქცა და ის 1501 დოლარი ღირს! ასეთი შთამბეჭდავი ფასი კი ინგრედიენტების დამსახურებაა: მთავარი კომპონენტი ბურბუშელაა საკვებად ვარგისი ოქროსგან, რომლითაც უხვადაა დაფარული ჰოთ-დოგი, გარდა ამისა, შეიცავს ასთაკვის კუდს, საქონლის ხორცსა და ზაფრანას. ძვირფასი პროდუქციის გაყიდვით მიღებულ თანხას კი ჯულიანო საქველმოქმედო ფონდში გადარიცხავს, რომელიც უსახლკაროებს ეხმარება.

ჰოროსკოპი 26 სექტემბერი

ვერძი — ბევრი საყვედურის მოსმენა მოგიწევთ თქვენი უყურადღებობის გამო. ეცადეთ, დრო საყვარელი ადამიანებისთვისაც გამოანახოთ, მათ ეს ძალიან სჭირდებათ.

კური — გირჩევთ, მოძებნოთ წონასწორობის უხილავი წერტილი პირადსა და საქმიან ურთიერთობებს შორის. შეეცადეთ, თავი აარიდოთ კონფლიქტს გარშემომყოფებთან.

ტყუპები — სადაც უნდა წახვიდეთ, ყველგან ყურადღების ცენტრში იქნებით, რამაც საკუთარი პრობლემების მოგვარებაში შესაძლოა ხელი შეგიშალოთ.

კირჩხიბი — თქვენი პარტნიორი შეეცდება, როგორმე გასიამოვნოთ, რამაც არ შეიძლება, არ გაგახაროთ. საჩუქარი ან მეტად სასიამოვნო ამბავი გელოდებათ. ხვალინდელ დღესაც ოპტიმიზმით უყურებთ.

ლომი — დღეს თქვენი ბედნიერება შეუმჩნეველი არავისთვის დარჩება. თქვენი მიზანსწრაფულობა კი დაგეხმარებათ დაგეგმილი საქმის განხორციელებაში.

ქალწული — დადგა დღე, როცა მარტო თავს გაცილებით უკეთ გრძნობთ, ვიდრე ვიდაცების კომპანიაში. გასაოცარია, ბევრი გაქვთ. დღის მეორე ნახევარში სუფთა ჰაერზე გასეირნებაც არ გაწყენდათ საყვარელ ადამიანთან ერთად.

სასწორი — დღე მრავალფეროვანი იქნება მოულოდნელი მოვლენებით. ეცადეთ, ყველა ნიუანსი კარგად აწონ-დაწონოთ და გადაწყვეტილებებიც მხოლოდ ამის შემდეგ მიიღოთ.

ღრიანცალი — ყველა პრობლემას დაივიწყებთ, რადგან უფრო საინტერესო საქმე გამოგიჩნდებათ, ვიდრე რთულ საქმეებზე ვიშეიშია. დღის მეორე ნახევარში სტუმრების მისალებად მოემზადეთ — ვარსკვლავები სასიამოვნო სადამოს გპირდებიან.

მშვილდოსანი — გეძლევათ შანსი, რადაც შეცვალოთ პირად ცხოვრებაში, ბოლო მოუღოთ გაუთავებელ პრობლემებს, რომელთა გადაჭრის იმედი უკვე აღარც კი გქონდათ.

თხის რქა — კამათში, შეეცადეთ, დაცვის პოზიცია აირჩიოთ და დაელოდოთ, ვიდრე მოწინააღმდეგე შეცდომებს არ დაუშვებს. კარგი დღეა ფინანსური საკითხების მოსაგვარებლად.

მერწყული — ნუ გამოცდით ბედს და კარგად დაფიქრდით, ყველა ის ცვლილება, რაზეც დიდი ხანია ოცნებობთ, ნამდვილად გაჭირდებათ თუ არა.

თევზები — თქვენი თავისუფლება დღეს, ასე თუ ისე, შეიზღუდება. თუ საკუთარი თავის კუთხეში მომწყვდევა შეძელით, იქიდან დაძვრენასაც მოახერხებთ.

სუდოკუ

ადვილი

	5			2	1	9		
			7	8			3	
	7					5		
				4		8	9	
1			6		8			3
	3	8		1				
		1					7	
	2			5	7			
		5	2	3			6	

სტანდარტი

							3	6
			6	8	2			4
			3				9	8
9	7					1		
	2		1		3		4	
		1					5	7
7	3				9			
8			4	5	6			
4	6							

რთული

						1		7
					9			4
5	4		8	7		3		
				3	8		7	
		3		6		8		
	6		7	5				
		6		1	7		9	2
3			6					
2		9						

ექსპერტი

2							3	
1			9	3	7	4		
	4							
	3	2			5			7
				6				
5			1			3	2	
							1	
		1	2	5	6			9
	6							8

გარდაცვლილი უსახლკარო მილიონერი აღმოჩნდა

ასაკოვანი იტალიელი უსახლკარო, 77 წლის გვიდო რიჩი ქალაქ ბელუნოს საავადმყოფოში გარდაიცვალა. იმ ადამიანების თქმით, ვინც პირადად იცნობდა მოხუცს, გვიდო კაფე-ბარებში ცხელი კერძების ნარჩენებს, ფინჯან ყავასა და ჭიქა ღვინოს ითხოვდა ხოლმე, გასტრონომის სტენდებთან იდგა და ელოდებოდა, რაიმე საკვებს თუ მიაწვდიდნენ. „ბომჟი“ ისე გარდაიცვალა, რომ არანაირი ანდერძი არ დაუტოვებია, გარდა იმისა, რომ მკურნალ ექიმთან ვალში იყო. წარმოიდგინეთ, რაოდენ დიდი იყო საზოგადოების გაოცება, როცა რიჩის გარდაცვალების ოფიციალურად გამოცხადების შემდეგ გაირკვა, რომ მარტო მის საბანკო ანგარიშებზე დაახლოებით 10 მილიონი ევრო დევს. გარდა ამისა, მოხუცის საკუთრებაში იყო პრესტიჟული, ისტორიული საცხოვრებელი სახლები ვენეციაში, ბელუნისა და მექსიკურ აკაპულკოში. მისი ქონების საერთო რაოდენობა 20 მილიონ ევროდ ფასდება. ქონების ნაწილი გარდაცვლილს მექსიკაში მცხოვრები ძმისგან ერგო, რომელსაც, გვიდოს მსგავსად, პირდაპირი შთამომავლები არ დარჩა. იტალიური კანონმდებლობის მიხედვით, თუ ანდერძი არ არსებობს და არც პირდაპირი მემკვიდრეები არიან, ქონებაზე პრეტენზიის უფლება შორეულ ნათესავებსაც აქვთ, თუკი ისინი ახლობლობას დაადასტურებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქონება სახელმწიფოს საკუთრება ხდება. გვიდოს უკვე გამოუჩნდნენ ასეთი ნათესავები — დეიდაშვილის შვილები პადუადან, რომლებთანაც მას ურთიერთობა არ ჰქონდა. ახლა ჯერი სასამართლოზეა — დააკმაყოფილებს თუ არა მათ პრეტენზიას „ბომჟის“ მემკვიდრეობის მიღებაზე.

თავსატეხების მოყვარულებს ღვინო ჩამოუსხეს

კომპანიებმა — Fetzer label და Mendocino Wine Group ღვინის მოყვარულებს მოულოდნელი სიურპრიზი გაუკეთეს. მათ თავსატეხების მოყვარულებს საშუალება მისცეს, ძვირფასი სასმელიც მიირთვან და ამავდროულად, თავი სხვადასხვა რებუსებითა და გამოცანებით შეიქციონ. ახალ ღვინოს „პაზლის დრო“ ეწოდება, რომლის ეტიკეტზეც კროსვორდია დაბეჭდილი. მასზე რამდენიმე სიტყვაა დაშიფრული. ღვინის მოყვარულებმა სწორედ ეს კოდირებული სიტყვა უნდა ამოიცნონ. ვინც არ აპირებს ამ თავშესაქცევით გართობას ან დაღლილობის გამო ვერ მოახერხა კროსვორდის ამოხსნა, მისთვის ბოთლის მეორე მხარეს მიკრულ ეტიკეტზე მინიშნებები და სწორი პასუხებიცაა დაბეჭდილი.

კოფეინი მხედველობას იცავს

ტოკიოს უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის მეცნიერები აცხადებენ, რომ კოფეინის მოხმარება აუმჯობესებს თვალის უნარს, გამოიმუშაოს ცრემლი. სპეციალისტების თქმით, მათი აღმოჩენა საშუალებას მისცემს, დაიხვეწოს ეგრეთ წოდებული მშრალი თვალის სინდრომის მკურნალობის მეთოდიკა. სინდრომს (ცრემლის აპკი შრება და ვერ ასწრებს აღდგენას) თან ახლავს ისეთი სიმპტომები, როგორიცაა თვალში უცხო სხეულის შეგრძნება, წვა, ქავილი, სიმშრალე, შუქის შიში, თვალის სწრაფი დაღლა. იაპონელ სწავლულთა კვლევაში 78 ადამიანი მონაწილეობდა, რომლებიც კოფეინსა და პლაცებოს იღებდნენ. მკვლევარები აცხადებენ, რომ კოფეინის მიღებას მხოლოდ იმ პაციენტებს ურჩევენ, ვინც შედარებით მგრძნობიარეა ამ ნივთიერების მასტიმულირებელი ეფექტების მიმართ. „მშრალი თვალის“ სინდრომის არსებობისას კი, სწავლულები გვირჩევენ, აუცილებლად სპეციალისტს მიმართოთ.

„ყავის სუნამო“ გამოუშვეს

დიდ ბრიტანეთში, საქველმოქმედო ორგანიზაციამ Macmillan ახალი სუნამო წარმოადგინა, რომელსაც ყავის არომატიც აქვს. „ყავის სუნამოს“ რეკლამირებას „მის შოტლანდია“ ჯენიფერ რეიჩი უწევდა. უამრავ ადამიანს უყვარს ამ არომატული სასმელის სურნელი, ასე რომ, ვიფიქრეთ, ისეთი სუნამო შეგვექმნა, რომელიც მათ ყავას გაახსენებს, — ამბობს ორგანიზაციის ოფიციალური წარმომადგენელი. Macmillan-ში ვარაუდობენ, რომ ახალი არომატის გაყიდვით ფონდში შესული თანხა 15 მილიონ გირვანქა სტერლინგს გადააჭარბებს.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.

დაცვის პოლიცია მომხმარებელს სთავაზობს ავტომობილების GPS-GPRS მონიტორინგს

GPS-ის სისტემა მანქანის მფლობელს აძლევს საშუალებას, ცოცხალ – LIVE-რეჟიმში განსაზღვროს სატრანსპორტო საშუალების ადგილმდებარეობა, აკონტროლოს გადაადგილების ტრაექტორია და მართოს სატრანსპორტო საშუალებების მარშრუტები და გრაფიკები. უწყვეტ რეჟიმში და ყველაზე ოპერატიულად მიიღოს ინფორმაცია სახლიდან, ოფისიდან გაუსვლელად ინტერნეტის საშუალებით.

125 დაცვის პოლიცია

GPS-ის მომხმარებელს შეუძლია:

- მანქანის ადგილმდებარეობის, სიჩქარის, გავლილი ტრაექტორიის, მოძრაობის დროის, ძრავის მდგომარეობის (ჩართული/გამორთული) LIVE მონიტორინგი;
- გავლილი მარშრუტის ისტორიის დათვალიერება დღის, თვის, მოძრაობისა და დროის მიხედვით;
- განვლილ პერიოდში მაქსიმალური სიჩქარის და მანძილის დაფიქსირება;
- სტატისტიკის ამოღება;
- მანქანის დაძვრა-გაჩერების ისტორიის ნახვა;
- საწვავის კონტროლი;
- საკონტროლო ფუნქციების ოპტიმიზაცია.

GPS-GPRS სისტემის გამოყენებით დაზოგავთ დროსა და თანხას, რაც მნიშვნელოვანია თქვენი ბიზნესისთვის.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით დაცვის პოლიციის საინფორმაციო სამსახურს 125 (ზარი უფასოა).